ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 24 ივნისი, 2020 | №135 (8399) | ფასი: 60 თეთრი

„გადავვარდი ხევში, შაქარა ჩარბოდა ჩასახვევში და იმის მერე აღარ მინახავს“

გვ.5

რას ყვება ოქროს მოწმე გუკა ამირხანაშვილი

ნარეკვავის აგარაკზე ჩხუბი დიჯეის გამო დაიწყო

სუსმა დუშეთში დააკავა ცოლ-ქმარი, რომლებმაც ახალშობილი 5.000 დოლარად გაყიდეს

გვ.5

ნოდარ მელაძე სუსში დაიბარეს



გვ.3

„საქმე რურუაში არ არის. საქმე „ოცნებაშია“

გვ.3

პაატა ზაქარეიშვილი: „კარგია, ოპოზიცია საერთო მაჟორიტარებზე რომ შეთანხმდა“

იუსტიციის საბჭოში ანა დოლიძეს მანანა კობახიძის ძმა შეცვლის?

გვ.2

ლევან ალაფიშვილი: „თუ მანანა კობახიძე ამას დასთანხმდება, ამით საკუთარ პრინციპებთან კომპრომისზე წავა“

„თუ საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდებოდა, ივანიშვილი საკუთარ მილიარდებს დააზარალებდა“



მურმან დუმბაძე: „გიორგი რურუას საპარლამენტო არჩევნებამდე თავისუფალს ვიხილავთ“

გვ.3

გვ.4

ანზორ აბრალავა: „მყვირალა ოპოზიცია სააკაშვილს ყურებით ჰყავს დაჭერილი“

„თავისი აზროვნებითა და წარსულით ლელო „სოვეტსკი სპორტს“ მაგონებს“

გვ.5

ვლადიმერ ბორცვაძე: „გაძლევთ გარანტიას, რომ ჩვენი რეაქცია იქნება მყისიერი გიორგი შაქარაშვილის საქმეზე“

ISSN 1987-9385

2 ადამ კინზინგერი: „დეტალები საქართველოს ხალხის გადასაწყვეტია, მის ხმას კი ოქტომბერში გავიგებთ“

4 რა არის ლარის კურსის ხელოვნურად გაუფასურების მიზეზი?

5 არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის გ.გ-ს 10 წელი მიესაჯა

6 დიდ ბრიტანეთში ლუდის ბარები და რესტორნები 4 ივლისიდან გაიხსნება

იუსტიციის საბჭოში ანა დოლიძეს მანანა კობახიძის ძმა შეცვლის?

ლევან ალაფიშვილი: „თუ მანანა კობახიძე ამას დასთანხმდება, ამით საკუთარ პრინციპებთან კომპრომისზე წავა“

იავო ნაცვლიშვილი

ტელეკომპანია „ფორმულას“ ინფორმაციით, სასამართლო კლანმა მანანა კობახიძის ძმის დაწინაურება მოითხოვა, სანაცვლოდ კი მანანა კობახიძემ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მხარი მერაბ ტურავას უნდა დაუჭიროს. როგორც ჩანს, ხელისუფლება სასამართლოს სრული კონტროლისთვის საბოლოო ფაზაზე გადადის. ყოველ შემთხვევაში, ეს სკანდალური ინფორმაცია ასეთი დასკვნის შესაძლებლობას იძლევა. თავად მერაბ ტურავა მედიასთან კომენტარს არ აკეთებს.

არის თუ არა ეს ინფორმაცია განგაშის საფუძველი და რა პროცესებს ხედავს საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** საუბრობს.

– „ფორმულას“ ინფორმაციით, საკონსტიტუციოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მერაბ ტურავას მხარდაჭერის სანაცვლოდ მანანა კობახიძეს ჰპირდებიან ძმის დაწინაურებასა და იუსტიციის საბჭოს წევრად არჩევას. რას გეუბნებათ ეს ინფორმაცია და არის თუ არა ეს განგაშის საფუძველი?

– ანა დოლიძის განცხადება და ეს მოვლენები დაემთხვა ერთმანეთს. მხედველობაში მაქვს დოლიძის ის განცხადება, როდესაც მან მიმართა პრეზიდენტს და იუსტიციის საბჭოში თანამდებობა დატოვა. შესაბამისად, პრეზიდენტს აქვს საშუალება, შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც მმართველი პოლიტიკური გუნდის მხარდაჭერილი წარმომადგენელია. მას ექნება შესაძლებლობა, წარადგინოს ახალი კანდიდატი. მე არ ვიცი, რამდენად იქნება დასახელებული მანანა კობახიძის ძმა და რამდენად წარადგენენ მას საბჭოში, მაგრამ იუსტიციის საბჭოში მის გამწესებას მე უკვე რეალურად განვიხილავ.

– ანუ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ანა დოლიძეს იუსტიციის საბჭოში თედო კობახიძე ჩაანაცვლებს?

– პრეზიდენტს რჩება ამის შესაძლებლობა, იმიტომ, რომ ანა დოლიძე სწორედ პრეზიდენტის გადაწყვეტილებით იყო გამწესებული იუსტიციის საბჭოში, პრეზიდენტის კვოტით იყო წარდგენილი და ახლა ამას როგორ გამოიყენებს პრეზიდენტი, არ ვიცი, მაგრამ სამართლებრივი შესაძლებლობა აქვს, რომ მანანა კობახიძის ძმა ან ნებისმიერი სხვა პირი წარადგინოს მან. შესაბამისად, როდესაც ამის მსჯელობაა და, რა ინფორმაციაც საჯაროდაა, ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. ერთ-ერთი საფუძვლიანი ვარაუდი, შესაძლოა, ესეც იყოს.

მანანა კობახიძე პოლიტიკიდან არის წასული საკონსტიტუციო სასამართლოში. სხვა წევრებთან ერთად მისი მხარდაჭერაც მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ 5/4-ზეა მხარდამჭერთა რაოდენობა. შესაბამისად, არ გამოირჩევა პოლიტიკური ლოიალობის მოტივით გარკვეული ვაჭრობა, რათა მანანა კობახიძემ მხარი დაუჭიროს კონკრეტულ კანდიდატს და რის სანაცვლოდაც მიიღებს სხვა წარდგენას. შეიძლება, ეს იყოს მის ძმასთან დაკავშირებით მიღებული რაიმე გადაწყვეტილება ან უშუალოდ მასთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილება. დავუშვათ, მისი თანამდებობრივი დაწინაურება, დავუშვათ, გამწესდეს თავმჯდომარის მოადგილედ. ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა იყოს ეს, ძალიან საგანგაშოა, იმიტომ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მაქსიმალურად დისტანცირებული უნდა იყოს პოლიტიკისგან და პოლიტიკური ლოიალობა არ უნდა იგრძნობოდეს მის არც ერთ გადაწყვეტილებაში, იქნება ეს მისი რომელიმე გადაწყვეტილება თუ პროცედურული სტრუქტურული გადაწყვეტილებები.

როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობთ, მე მახსენდება პოლიტიკური თუ ადამიანური დამოკიდებულებები. გვახსოვს 2013 წლიდან მანანა კობახიძის საჯარო განცხადებები, რომელიც იყო საკმაოდ თანმიმდევრული და ის იყო მკვეთრად უარყოფითი სასამართლო სისტემაში არსებული ჯგუფის მიმართ. ის როდესაც იყო პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ღიად და საჯაროდ საუბრობდა 2013 წლიდან იმაზე, როგორ გამწესდნენ უზენაეს სასამართლოში პირები, რომლებსაც არ ეკუთვნოდათ ეს თანამდებობები. ის საუბრობდა წინა ხელისუფლების მიმართ ლოიალობაზე და ამის გამო იყვნენ გამწესებულები. მას პოზიციები არ შეუცვლია და რეალურად თანმიმდევრულია. შესაბამისად, ჩემთვის პროფესიულად და ადამიანურად ამოუხსნელი რჩება საკუთარ თავთან კომპრომისზე წასვლა. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ თუ ეს ჩემთვის მიუღებელი იყო, იმ ჯგუფის დავალებები როგორ უნდა შეასრულო, თუ არა სამწუხაროდ ვერსია, რომ ეს, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სანაცვლოდ რაიმე სარგებლობის მიღება, იქნება ეს პოლიტიკა, თანამდებობა, პროფესიული საქმიანობა, ამას აღარ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

– თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება, ეს იქნება ამის ლუსტრირება?

– საკუთარ თავთან კომპრომისზე წასვლა იქნება და საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტილებების მიღება. ეს იქნება იმ ჯგუფის არათუ მძევლად ყოფნა, არამედ მისი სურვილების შემსრულებლად ყოფნა, რომელსაც საზოგადოება კლანს უწოდებს და თავად მანანა კობახიძეც გამოდიოდა მის წინააღმდეგ.

– ვხედავდით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, ასე თუ ისე, იყო თავისუფალი იმავე ამ კლანისგან, იმავე პოლიტიკური გავლენებისგან. მას აქვს გადაწყვეტილებები მიღებული ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ. ხედავთ თუ არა ამ პოლიტიკის შეცვლის მცდელობას და იმას, რომ ეს ინსტიტუციაც საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს „ოცნებამ“?

– უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში თავმჯდომარის ამ წესით გამწესებით მმართველი პოლიტიკური ძალა დაღუპავს მთელ 8-წლიან ბრძოლებს და მოიპოვებს იმას, რასაც ჰქვია სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარება საკუთარ პოლიტიკურ დიქტატზე. პოლიტიკური ლოიალობა იქნება მთელი სასამართლო ვერტიკალის მიმართ, იქნება ეს საერთო სასამართლოების სამივე ინსტანცია თუ საკონსტიტუციო სასამართლო.

საკონსტიტუციო სასამართლო რთულად, მაგრამ მაინც რჩებოდა მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ არცთუ ლოიალურად განწყობილ ინსტიტუციად, მაგრამ ეს იქნება ბოლო აკორდი „ქართული ოცნების“ მმართველობისა, რომ ლაგამი ამოსდოს მთელ სასამართლო სისტემას.

მეორე, უნდა გავიხსენოთ კონტექსტი და მმართველი პოლიტიკური პარტიის ზრახვები გამოსაცნობი გახდება. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ახლა საკონსტიტუციო ცვლილებები მიდის. შემდეგ არ ვიცით, როგორი იქნება საარჩევნო კოდექსის ნორმები. სავარაუდოა, რომ მმართველი ძალა მისთვის სასარგებლო არაერთ ნორმას ჩაწერს ამ კოდექსში და ამას მოსდევს მძიმე საარჩევნო პერიოდი. თუ ამას გავითვალისწინებთ და არჩევნების კონტექსტში შევხედავთ, „ოცნების“ მიზანი გასაგები ხდება.

საკონსტიტუციოს აქვს უფლება, რომ საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით განიხილოს მისი კონსტიტუციურობის საკითხი. შესაბამისად, გადაზღვევის თვალსაზრისით, რომ მმართველმა პარტიამ ამ მძიმე არჩევნების წინ გადაიზღვიოს თავი, ბუნებრივია, მას უნდა, რომ სასამართლოს თავმჯდომარე და საჭირო უმრავლესობა იყოს მისი კონტროლის ქვეშ, ბუნებრივია და გამოსაცნობი ხდება, მით უმეტეს წარსულში არაერთი ცვლილება გვინახავს, რაც სწორედ საარჩევნო მიზნებით იყო ნაკარნახევი.

ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ მომავალ წელს თვითმმართველობის არჩევნები გველოდება და, ბუნებრივია, არ იქნება უსაფუძვლო იმის წარმოდგენა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს როგორც საპარლამენტო, ისე თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული რეგულაციები და, შესაბამისად, მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ბევრი რამე, მათ შორის, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესი და რამდენად მყარი იქნება დღევანდელი მმართველი პოლიტიკური ძალის პოლიტიკური მომავალი.

ადამ კინზინგერი: „დეტალები საქართველოს ხალხის გადასაწყვეტია, მის ხმას კი ოქტომბერში გავიგებთ“

– დეტალები საქართველოს ხალხის გადასაწყვეტია – ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ასპექტი ყოველთვის იარსებებს.

ამის შესახებ ამერიკელმა რესპუბლიკელმა კონგრესმენმა და კონგრესის აშშ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე ადამ კინზინგერმა მედიისთვის გამართულ ვიდეოკონფერენციაში განაცხადა.

მან ისაუბრა 13 კონგრესმენის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტზე, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი მოხსენიებულია, როგორც „პუტინის მოკავშირე“ და უპასუხა კითხვას, იცოდა თუ არა კონგრესმენმა დონ ბეიკონმა აღნიშნული ნაწილის შესახებ, ბეიკონის იმ განცხადებიდან გამომდინარე, რომ მას ანგარიშის ამ ნაწილის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია.

– კონგრესი ბევრ ანგარიშსა და კანონპროექტს იღებს, ყველაფერი, რაც გამოდის, შეიძლება, მთლიანად არ იყოს წაკითხული. როგორც წარმოგიდგენიათ, მსოფლიოში ბევრი ქვეყანაა, რომლის მიმართაც ინტერესი გვაქვს და, რა თქმა უნდა, ბევრი საკვანძო მოკავშირე, როგორიც საქართველოა. ეს არ ნიშნავს, რომ 235-ვე წევრმა აბსოლუტურად ყველაფერი მაშინვე იცის იმის შესახებ, რაც იმ მომენტში გამოიცემა. ბეიკონმა იცოდა თუ არა, მე გეტყვით, რომ ყველამ იცის საქართველოს შესახებ და საქართველომ გაიკვალა გზა აშშ-ის კონგრესში, რაც კარგია, – აღნიშნა კინზინგერმა.

მან უპასუხა „ინტერპრესნიუსის“ კითხვას, თავად რას იტყვის ბიძინა ივანიშვილის როლის შესახებ საქართველოში.

– არ ვფიქრობ, რომ ამ მომენტში იმ როლში ვიმყოფები, განსაკუთრებით ჩემს პოზიციაში მყოფი ადამიანი და საქართველოს ჯგუფის თანათავმჯდომარე და ის, ვინც საქართველოში დემოკრატიის წახალისებას ძალიან ცდილობს, რომ გამოვიდე და ამგვარ რამეზე მოსაზრება გამოვთქვა. საქართველოში ბევრი რთული სიტუაცია იყო, რთული სიტუაციები იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყველაფერი, რაც გვინდა, ისაა, რომ ადამიანებმა ამ ყველაფერზე მუშაობით წინ წაიწიონ.

დეტალებს რაც შეეხება, ეს დეტალები საქართველოს ხალხის გადასაწყვეტია. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ასპექტი ყოველთვის იარსებებს, ჩემი იმედი კი იმას უკავშირდება, რომ რთულ დროს გადავლახავთ და წინ წავალთ, რადგან ხმის გაჟღერების გზა ის კი არაა, თუ რას ფიქრობს კონგრესი, ან თუნდაც, რას ფიქრობს მედია საქართველოში. ეს არც იმას უკავშირდება, თუ რას ფიქრობს პარლამენტი, არამედ იმას, თუ რას ფიქრობს ქართველი ხალხი, მის ხმას კი ოქტომბერში გავიგებთ, – აღნიშნა კინზინგერმა.

ჟურნალისტის კითხვას, თუ რატომ უჭერს მხარს ამერიკული საგარეო პოლიტიკა საქართველოში ძირითადად ლიბერალურ პოლიტიკოსებს, მაშინ, როდესაც საზოგადოების უმრავლესობა კონსერვატორული განწყობებისაა, კონგრესმენმა უპასუხა, რომ ეს მხოლოდ აღქმაა და არა – რეალობა.

– ვფიქრობ, ეს ერთგვარი აღქმაა, თუ ასეა. ეს ჩემი პოზიცია არაა, ჩემი პოზიციაა, რომ ქართველო ხალხი ზუსტად ის იყოს, რაც სურს – თუ ორთოდოქსობა გინდა, ასეთი უნდა იყო, თუ ლიბერალობა – სწორედ ასეთი. ჩემი მოსაზრებით, ესაა დემოკრატია, დეტალები კი შემდეგ შენი გადასაწყვეტია.

სწორედ ეს ხდება ამერიკაშიც – მე კონსერვატორი ვარ და ჩემი რაიონი მართლაც ასეთია. ამავდროულად, მესმის, რომ სხვაგვარი შეხედულებების ადამიანები არსებობენ. ჩვენ, უბრალოდ, გვსურს, რომ საქართველოში ხალხს ჰქონდეს თავისუფლება, იცხოვრონ თავიანთი ცხოვრებით და იმის სჯეროდეთ, რისიც სჯერათ, ჰქონდეთ რელიგიის, ცხოვრების, თავისუფლებისა და ბედნიერების მიდევნების უფლებები, – აღნიშნა კინზინგერმა.

კითხვაზე, რამდენად სანდოა ამერიკის შეერთებული შტატების რჩევები სხვა ქვეყნებისთვის მშვიდობიან პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც თავად შტატებში მიმდინარეობს არცთუ მშვიდობიანი საპროტესტო აქციები, კინზინგერმა უპასუხა, რომ ამერიკის ყველაზე ცუდი დღე მაინც სჯობია ჩინეთისა თუ საბჭოთა კავშირის ყველაზე კარგ დღეს.

– დემოკრატია არაა იდეალური, მაგრამ პირველი ჩასწორება გამოხატვის თავისუფლებას იცავს, თუმცა ხაზს უსვამს, რომ ეს მშვიდობიანად უნდა მოხდეს. სწორედ ესაა საკვანძო – მშვიდობიანი პროტესტები და, როდესაც მონუმენტებს ანგრევ თუ შენობებს წვავ, პირველ შესწორებას არღვევ, შემდეგ კი ადგილობრივ თუ სახელმწიფო პოლიციაზე ან, ზოგ შემთხვევაში, ეროვნულ გვარდიაზეა დამოკიდებული, რომ მათ კანონი გააძლიერონ და საკუთრება დაიცვან.

ყველა შემთხვევაში გვჯერა ამის და თუნდაც, როდესაც საქართველოში მიმდინარეობს საპროტესტო აქციები, ჩემი გადმოსახედია, რომ ადამიანებს მშვიდობიანი გაპროტესტება შეუძლიათ, თუმცა ძალადობის უფლება არ აქვთ.

ჩინეთში ძალადობა ხდება, ჩინეთი საკუთარ ხალხს ხოცავს და ანგარიშვალდებულება არ არსებობს, რადგან მედიას ამის გაშუქება არ შეუძლია. აშშ-ში, იმის გამო, რომ ინფორმაციის, ცხოვრების, ყოფნის უფლება გვაქვს, ყოველთვის, როდესაც საპროტესტო აქციებია, როდესაც ქანდაკებას ანგრევენ ან პოლიციის ოფიცერი ვიღაცას კლავს, ეს მთლიანად ფარავს სიახლეებს, რადგან ეს ადამიანის უფლებაა. ეს ხანდახან ნაკლოვანებებს და არეულობას იწვევს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ყველაზე ცუდი დღე, როდესაც მონუმენტებს ანგრევენ, პროტესტია და მსგავსი რამეები ხდება, მაინც სჯობია კომუნისტური ჩინეთის თუ საბჭოთა კავშირის საუკეთესო დღეს, – აღნიშნა კინზინგერმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საქმე რურუაში არ არის. საქმე „ოცნებაშია“

პაატა ზაქარეიშვილი: „კარგია, ოპოზიცია საერთო მაჟორიტარებზე რომ შეთანხმდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, პარლამენტმა მეორე მოსმენითაც დაუჭირა მხარი საკონსტიტუციო ცვლილებებს. იყო მოლოდინი, რომ რადგან ოპოზიცია არ მონაწილეობდა კენჭისყრაში, საკითხი ჩავარდნილიყო, თუმცა „ოცნებამ“ შეძლო დეპუტატების მობილიზება. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– ძალიან სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნება“ თანამშრომლობაზე არ მოდის. იმის მაგივრად, რომ დაეფასებინა ოპოზიციის მხარდაჭერა პირველი მოსმენით კენჭისყრაზე, დაამადლა „ევროპულ საქართველოს“.

– თქვენი მონაწილეობის გარეშეც მივიღებდითო...

– დიახ. აბსოლუტურად არ ესმის პოლიტიკა „ქართულ ოცნებას“. გულდასაწყვეტია, რომ ასეთი აგრესიულები, მიუღებლები და უმადურები არიან. ამ არჩევნებით ხომ არ მთავრდება ყველაფერი. „ქართული ოცნება“ ჩაიჭრა პოლიტიკურ ველზე.

– ხელისუფლება კი ფიქრობს, რომ ნაციონალური მოძრაობა ჩაიჭრა, როდესაც კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა.

– რომ მიეღოთ და დაეჭირათ მხარი, მაინც დაამადლებდნენ. კახური გამოთქმაა, ვირი გინდ ღობის იქით დააბი, გინდ ღობის აქეთ, ვირი მაინც ვირიაო. „ქართულ ოცნებაზეა“ ეს გამოთქმა. დაუნახავები არიან. მათ ვერ გამოიყენეს უნიკალური შანსი, რომ შერიგებისკენ გადაედგათ ნაბიჯი. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია გავა, ეს არ იქნება ცალსახად მხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმატება.

– საჭირო იყო პროცესში ოპოზიციის ჩართულობაც?

– რა თქმა უნდა. უნიკალური შესაძლებლობა შეუქმნა „ევროპულმა საქართველომ“ და „ქართულმა ოცნებამ“ ეს ვერ დაინახა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ რურუა უნდა გაეთავისუფლებინა „ოცნებას“?

– რურუაზე მე არანაირი გართულება არა მაქვს. მე ვამბობ იმას, რომ „ოცნებას“ უნდა შეესრულებინა შეთანხმება. შეთანხმების გადამგდებები ძალიან ცუდად ჩანან ევროპაშიც და ყველგან. რადგან დადეს ეს შეთანხმება, უნდა შეასრულონ.

მე არ მაინტერესებს გვარი და სახელი და რა ჩაუდენია მას წარსულში, ვინც გინდა, ის ყოფილიყო, თუნდაც ცარიელი სკამი! რადგან შეთანხმდნენ, უნდა გამოეშვათ! ამ შეთანხმებას ესწრებოდნენ უცხოელი პარტნიორებიც, რადგან დადე პირობა, მაშინ ეს პირობა უნდა შეასრულო. რურუაში კი არაა საქმე, საქმე შენშია. თუ შენ დღეს რურუა გადააგდე, ხვალ, შეიძლება, უცხოელი პარტნიორები გადააგდო. არასანდო პარტნიორის შთაბეჭდილებას ტოვებ, როცა შეთანხმებას არღვევ.

– მესამე მოსმენით უპრობლემოდ დაამტკიცებენ თუ რაიმე საფრთხეს ხედავთ კიდევ?

– მე მგონი, საფრთხემ ჩაიარა. აშკარაა, რომ არც ნაციონალური მოძრაობა და არც „ევროპული საქართველო“ აღარ მიიღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას. მათ თავისი გააკეთეს, „ევროპულმა საქართველომ“ განსაკუთრებით. მათი

სინდისი სუფთაა.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მთლიანად „ქართულ ოცნებაზე“. მათ უნდა მოახდინონ სრული მობილიზაცია და გაიტანონ მესამე მოსმენითაც. დარწმუნებული ვარ, გაიტანენ. „ქართულ ოცნებას“ მოუწევს, მარტომ მიიღოს ეს გადაწყვეტილება, რაც პოლიტიკურად სულაც არ არის ლამაზი. აღმოჩნდება, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრი მას განუდგა. ეს დამარცხების ტოლფასი გამარჯვებაა. პიროსის გამარჯვება ჰქვია მაგას, როცა იმარჯვებ, მაგრამ ეს მარცხის ტოლფასი ხდება.

– ამბობენ, რომ „ოცნების“ შიგნითაც არ არის ყველაფერი რიგზე, დიდი არეულობა და დაპირისპირებაა. როგორ მივლენ არჩევნებამდე?

– თუ შეცდომები არ დაუშვეს, მივლენ არჩევნებამდე, სხვა რა გზა აქვთ. მეტი არჩევანი არ აქვთ. რაც შეიძლება მალე უნდა ჩატარდეს არჩევნები. ოქტომბერში აუცილებლად უნდა ჩატარდეს, თორემ მერე უკვე გვიან იქნება. მერე ძალიან გაუჭირდებათ გამარჯვება, იმიტომ, რომ ეკონომიკურ კრიზისში შევლენ. რაც უფრო მალე ჩაატარებენ, მით უფრო კარგია მათთვის.

– როგორ ფიქრობთ, კოალიციური მთავრობა იქნება?

– საქმე ის არის, ვის როგორ გამოუვა კოალიციური მთავრობა. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციამ შექმნას კოალიციური მთავრობა.

– ოპოზიცია ახსენეთ და ამ ფლანგზეც საკმაოდ დაძაბული სიტუაცია იყო, თუმცა მოახერხეს და შეთანხმდნენ საერთო მაჟორიტარ კანდიდატებზე. ამ კუთხით რას ელით?

– ძალიან კარგია, რომ შეთანხმდნენ. ეს სამომავლოდ ძალიან გამოადგებათ. ერთიანი მაჟორიტარების იდეა კარგია, კარგად იმუშავებს არჩევნებზე.

– გაყალბების მცდელობა იქნება?

– ამის მცდელობა თუ იქნება, „ოცნებას“ ძალიან ძვირად დაუჯდება. 2012 წლიდან მოყოლებული, „ოცნება“ ყოველთვის პატიოსნად იმარჯვებდა. ახლა პირველად ვუშვებ, რომ მათ ინტერესში შეიძლება იყოს არჩევნების გაყალბება. ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ნამდვილად არ მგონია, რომ მაჟორიტარულ ნაწილში „ქართული ოცნება“ ცალსახად ყველგან გაიმარჯვებს.

ასე არ იქნება. ძალიან დიდი ბრძოლა მოუწევთ.

საკონსტიტუციო ცვლილებები 3-მა ხმამ გადაარჩინა

აუცილებელი – 113, მომხრე – 115

გუშინ, 23 ივნისს, პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი მეორე მოსმენით დაამტკიცა.

სხდომაზე რეგისტრაცია 119-მა დეპუტატმა გაიარა, მათ შორის საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე კონსტიტუციურ კანონის პროექტს მხარი 115-მა დაუჭირა, წინააღმდეგ კი 3 წავიდა.

პროექტის მხარდასაჭერად 113 ხმა იყო აუცილებელი.

პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით 21 ივნისს დაამტკიცა.

პირველ მოსმენაზე პროექტს მხარი 136-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, მათ შორის საპარლამენტო უმრავლესობამ, „ევროპულმა საქართველომ“, „დამოუკიდებელმა დეპუტატებმა“, „პატრიოტთა ალიანსმა“ და უფრაქციო დეპუტატების ნაწილმა. საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ 5-მა დეპუტატმა მისცა ხმა: ალექსანდრე ერქვანიამ, კახა ოქრიაშვილმა, დავით ჭიჭინაძემ, ბიძინა გეგიძემ და ემზარ კვიციანმა. დეპუტატმა ნატო ჩხეიძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

– ხელისუფლებას მაინც ტვირთად რჩება 8 მარტის შეთანხმების ბოლომდე შესრულება, – განაცხადა ყოფილმა ვიცესპიკერმა, დამოუკიდებელმა დეპუტატმა თამარ ჩუგოშვილმა.

მისი თქმით, როდესაც შეთანხმება შედგა, ის ფარავდა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებს.

– ეს არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა, რომ ეს შეთანხმება ბოლომდე შეასრულოს, მაგრამ ასევე იყო ოპოზიციის პასუხისმგებლობა, რომ მასაც შეესრულებინა და თავისი წილი პასუხისმგებლობა აეღო. ხელისუფლებას მაინც ტვირთად რჩება 8 მარტის შეთანხმების ბოლომდე შესრულება, – განაცხადა ჩუგოშვილმა.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერას, ჩუგოშვილი აცხადებს, რომ მას საფრთხე აღარ ემუქრება და მესამე მოსმენითაც დამტკიცდება.

– დღევანდელი კენჭისყრა იყო საკმაოდ სარისკო, იმიტომ, რომ პირველ კენჭისყრაში მონაწილეობდა „ევროპული საქართველოც“ და ხმებიც, შესაბამისად, მეტი იყო. დღეს ძალიან სარისკო იყო და ძალიან მიხარია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის ნაწილი არ შემოვიდა ამ კენჭისყრაზე, რაც არასწორი იყო, სხდომათა დარბაზში მაინც აღმოჩნდა საკმარისი ხმები, რათა მეორე მოსმენით მიგვეღო ეს ცვლილებები.

პირადად ჩვენ არც ოპოზიციასა და არც ხელისუფლებას არ მივეცით საშუალება, რომ მორიგ ჯერზე ჩაეგდოთ საარჩევნო სისტემა, იმიტომ, რომ ხან ერთისგან მოდიოდა ეს მცდელობები და ხან – მეორისგან. მგონია, რომ ძალიან სწორი პოზიცია დავიკავეთ და, საერთო ჯამში, პრინციპში, ამ ცვლილებებს საფრთხე აღარ ემუქრება. სრული საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ მესამე მოსმენითაც უპრობლემოდ გავა, – აღნიშნა მან.

ნოდარ მელაძე სუსში დაიბარეს

24 ივნისს, 11:00 საათზე, ჟურნალისტი ნოდარ მელაძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოკითხვაზე დაიბარეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში განუცხადეს, მელაძე ვასამბეგ ბოკოვის საქმესთან დაკავშირებით არის დაბარებული.

ნოდარ მელაძემ ტელეკომპანია „პირველთან“ განაცხადა, რომ სუსში მისვლას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „მთავარის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას განცხადებით, კონტრტერორისტული სამსახურის მიერ ქავთარაძის ქუჩაზე რამდენიმე დღის წინ დაკავებული რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით ინგუში ვასამბეგ ბადრის ძე ბოკოვი, ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას ლიკვიდაციას გეგმავდა.

გვარამიას ინფორმაციით, გიორგი გაბუნიას ლიკვიდაცია ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვის დაკვეთით იგეგმებოდა, რისი მიზეზიც გაბუნიას მიერ პუტინის მისამართით ჯერ კიდევ „რუსთავი 2“-ზე მუშაობისას მის გადაცემაში გაკეთებული განცხადება იყო.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაადასტურა, რომ ვასამბეგ ბოკოვის დაკავება შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში განხორციელდა.

„თუ საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდებოდა, ივანიშვილი საკუთარ მილიარდებს დააზარალებდა“

მურმან დუმბაძე: „გიორგი რურუას საპარლამენტო არჩევნებამდე თავისუფალს ვიხილავთ“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, საკონსტიტუციო ცვლილებები მეორე მოსმენითაც მიიღეს. როგორც ჩანს, ეს ცვლილებები გავა. წინა შემთხვევისგან განსხვავებით, როდესაც კანონპროექტი ჩავარდა, ამჯერად რა მოხდა?

– საერთაშორისო საზოგადოებამ არა მხოლოდ ხელისუფლებაზე, არამედ პირადად ბიძინა ივანიშვილზე შტურმი განახორციელა. ამის შემდეგ. უბრალოდ, მას სხვა გზა არ ჰქონდა დარჩენილი. აქ, რა თქმა უნდა, თავისი როლი ითამაშა ქართველმა საზოგადოებამ, პოლიტიკურმა სპექტრმა, მათმა ერთობამ.

თუ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ამჯერადაც ჩავარდებოდა, მაშინ ბიძინა ივანიშვილი არა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ დააზარალებდა, რომელიც პოლიტიკურად არის გაკოტრებული, არამედ – საკუთარ პერსონას, თავის მილიარდებსაც. მან ეს მარტივი არჩევანი გააკეთა. ამჯერად ვეღარ გარისკა და წავიდა ამ ცვლილებებზე. მოგეხსენებათ, მეორე მოსმენით პარლამენტში კანონპროექტის გასვლა ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რადგან მესამე მოსმენა მხოლოდ და მხოლოდ რედაქციული ხასიათისაა.

პრაქტიკულად, ეს არჩევნები იქნება პროპორციულ სისტემასთან მიახლოებული. უფრო დიდი ყურადღება 120-კაციან სიაზე იქნება გადატანილი. მე, ცხადია, არ ვაკნინებ მაჟორიტარულ ნაწილს, მაგრამ მთავარი მაინც იქნება საარჩევნო სია.

– სიაზე რატომ აკეთებთ აქცენტს?

– იმიტომ, რომ გადამწყვეტი სწორედ 120 კაცის პროპორცია იქნება. ვინ რა პროპორციით გაიმარჯვებს, ეს იქნება მთავარი. ვინც მეტ პროპორციას მოიპოვებს, სწორედ ის დააკომპლექტებს ხელისუფლებას. მაჟორიტარებს ენიჭებათ მნიშვნელობა, მაგრამ მეტწილად პროპორციული სია იქნება გადამწყვეტი. მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურები იქნება.

– თბილისში ორ მაჟორიტარულ ოლქზე ოპოზიცია მოლაპარაკებებს აწარმოებს თუ ეს პროცესი დასრულდა?

– არა, რასაკვირველია, მოლაპარაკებები გრძელდება. საბურთალოს რაიონში თაკო ჩარკვიანმა გამოთქვა სურვილი, მაგრამ ის არ ყოფილა ოპოზიციური ფორმატის საერთო შეთანხმების შედეგი. გადაწყვეტილებას მხოლოდ გაერთიანებულ ფორმატში მივიღებთ. ადამიანს აქვს უფლება, გამოთქვას თავისი სურვილი და პოზიცია, მაგრამ შეთანხმება ძალიან მნიშვნელოვანია. თუ „ლეიბორისტების“ ოფისში შეკრებილი ოპოზიცია მასზე ვერ შეთანხმდება, მაშინ ის საერთო კანდიდატი ვერ იქნება.

– ბატონო მურმან, გიორგი მარგველაშვილი, არ არის გამორიცხული, „ლელოს“ პირველი ნომერი იყოს. რას იტყვით?

– გიორგი მარგველაშვილს, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტს, ძალიან დიდი შანსი ჰქონდა და მან ეს შანსი გაუშვა. ბევრად უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმა შეეძლო. მარგველაშვილი არ იყო ცუდი პრეზიდენტი, მაგრამ სალომე ზურაბიშვილზე უკეთესი პრეზიდენტობა არ ნიშნავს, რომ საყოველთაო პოლიტიკური სიმპათიები უნდა დაიმსახურო.

– რას ელოდით მარგველაშვილისგან, როგორც პრეზიდენტისგან?

– პირველი: უკანონო პატიმრობაში მყოფი მღვდლის შეწყალებას და მეორე, მესამე პრეზიდენტისთვის, როგორი ავიც არ უნდა იყოს ის, საქართველოს მოქალაქეობა უნდა აღედგინა. ციხეში შევიდეს, მაგრამ – საქართველოს მოქალაქის პასპორტით.

– რაც შეეხება გიორგი რურუას, შეიძლება, ოპოზიციის ეს მოთხოვნაც შესრულდეს და გამოუშვან?

– ძალიან დიდი ალბათობით, „ქართულ ოცნებას“ გიორგი რურუას გამოშვებაც მოუწევს და მას გამოუშვებენ. პრაქტიკულად, ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ხელისუფლებამ 8 მარტის ხელშეკრულება სრულად შეასრულოს. ამ შეთანხმების შესრულება ძალიან არ უნდა ხელისუფლებას, მაგრამ მას, უბრალოდ, სხვა გზა არ რჩება. ეს იციან ძალიან კარგად. ამიტომ ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის. ღრმად ვარ დარწმუნებული, გიორგი რურუას საპარლამენტო არჩევნებამდე თავისუფალს ვიხილავთ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

ანზორ აბრალავა: „მყვირალა ოპოზიცია სააკაშვილს ყურებით ჰყავს დაჭერილი“

„თავისი აზროვნებითა და წარსულით ლელო „სოვეტსკი სპორტს“ მაგონებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– იმ საკონსტიტუციო პროექტს, რომელიც პარლამენტში განიხილება და რომელიც, დიდი ალბათობით, დამტკიცდება, უკვე უწოდებენ რევოლუციურს. ეს ნაადრევი არ არის? ახალი შეთანხმებული მოდელი რევოლუციური რომ გახდეს, მან არჩევნების შემდეგ რადიკალური ცვლილებები უნდა გამოიწვიოს?

– არც ეს პროექტია რევოლუციური და არც რომელიმე საარჩევნო სისტემა. პროპორციული სისტემაც კი არ მიმაჩნია რევოლუციურად და გარდატეხის მომტანად. თავისუფალი არჩევნები და დემოკრატია აუცილებელია, მაგრამ ეს საარჩევნო სისტემაზე არ არის ჩამოკიდებული. აშშ-ში, მაგალითად, მაჟორიტარული არჩევნებია. საქართველოში პროპორციულთან მიახლოებული ან პროპორციული არჩევნები პანაცეა არ არის. ბოლო პერიოდი საქართველოში პოლიტიკური პარტიები დაკავებული არიან მარტო ამ საკითხებით. ეს არის არასწორი და სულელური იმ დროს, როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა.

– სოციალური მდგომარეობა დამძიმდა. ამაზე საუბრობთ?

– ქვეყანა დგას სოციალური, ეკონომიკური პრობლემების წინაშე. არ მოგვარებულა კონფლიქტები. აღსადგენია ტერიტორიული მთლიანობა. ამ დროს პოლიტიკურმა სპექტრმა აიკვიატა პროპორციული არჩევნები, მეტი პროპორციულობა და მეტი არაფერი ახსოვთ, გაიძახიან, რომ ორპარტიულობა ან ერთპარტიულობა არ შეიძლება. კი ბატონო, პლურალიზმი ჯობია, მაგრამ ამას წყვეტს ხალხი. პარტიებმა კი მოქალაქეებს უნდა შესთავაზონ ახალი კარგი იდეები, პროფესიონალურად დაწერილი პროგრამები ყველა დარგში. პოლიტიკოსებს უნდა ჰქონდეთ იდეალები, პრინციპები. საქართველოში აღარ ჩანს თავისუფლების, სამართლიანობის იდეები. ამას სიტყვითაც აღარ ახსენებენ. პოლიტიკურ სპექტრში მერკანტილიზმი და კონფორმიზმი ბატონობს. შეხედეთ, როგორ იქცევიან ისინი, ვინც ყველაზე მეტს ყვიროდა საარჩევნო მოდელის შეცვლაზე! ეს მოდელი პარლამენტში კენჭისყრაზე გადის, ეს პოლიტიკოსები კი განხილვებსა და კენჭისყრებს საერთოდ არ ესწრებიან! ამათთვის სულ ერთია, რომელი სისტემა იქნება. ისინი ყველაფერს გააპროტესტებენ. ნაციონალური მოძრაობის წევრი უდუმაშვილი უკვე ამბობს, რომ ახლანდელი ხელისუფლების საქმე დამთავრებულია. ასეთ განცხადებებს აკეთებენ, იმას კი ხმას არ აძლევენ, რისთვისაც იბრძოდნენ. აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე.

– რასთან გვაქვს საქმე?

– სააკაშვილს ეს მყვირალა ოპოზიცია ყურებით ჰყავს დაჭერილი, რასაც უნდა, იმას აკეთებინებს. ამ პოლიტიკოსებზე სააკაშვილს ისტორიები და კომპრომატები აქვს შეგროვებული. ის ამ ხალხს მართავს. სააკაშვილის მიზანი კი ნორმალური არჩევნები არ არის. მისი ამოცანა რევოლუციაა. რევოლუციის გზით ის დაამყარებს დიქტატურას. სააკაშვილის დიქტატურა საქართველოში უკვე გამოვცადეთ. ეს დიქტატურა ეფარებოდა ყალბ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს. ოპოზიცია ერთმანეთს უკვე დაერია. პრემიერობის კანდიდატზე რა დავიდარაბა ატეხეს! ერთმანეთს ვანო ჩხარტიშვილთან ნათესაობა აძახეს.

– შეიძლება, ამ ოპოზიციას თავისი მიზნები აქვს, მაგრამ მრავალპარტიულობა, დემოკრატია და სამართლიანი არჩევნები ყველას მოთხოვნა უნდა იყოს?

– რასაკვირველია. ამისათვის მინიმუმ რამდენიმე რამე უნდა შეიცვალოს. პირველ რიგში, საარჩევნო კომისიებში პარიტეტი უნდა იყოს. პარტიას უნდა შეეძლოს საკუთარი ხმების დაცვა.

– კომისიებში წარმომადგენლობა კვალიფიციურ სუბიექტებს აქვთ?

– ეს არასწორია. რის მიხედვით ითვლებიან ეს პარტიები კვალიფიციურებად? ბიოგრაფიის, პრინციპების თუ რის საფუძველზე? ჩვენთან პროგრამების მქონე პარტიები არც არსებობენ. არიან ავანტიურისტული ჯგუფები, სექტები თავიანთი ვიწრო ინტერესებით. მათ არ გააჩნიათ ხედვები, არ აქვთ შემუშავებული მოვლენათა განვითარების სცენარები.

– სრული პარიტეტი არარეალურია?

– რეალური როგორ იქნება! მაშინ ხომ ძირითადი მოთამაშეები ერთმანეთში ვეღარ გარიგდებიან!

– აქამდე რიგდებოდნენ?

– ყველა არჩევნების ამბავი კარგად ვიცი. არაერთ არჩევნებში მიმიღია მონაწილეობა. 2010 წელს გაიმართა ადგილობრივი არჩევნები. თბილისის ისნის ერთ უბანზე ხმებს ორი კვირის განმავლობაში ითვლიდნენ, უფრო სწორად, ერთმანეთში იყოფდნენ. არჩევნების გაყალბების ოსტატები იყვნენ ხათუნა გოგორიშვილი, რომელიც ახლა „ევროპულ საქართველოშია“, ასევე – გეგენავა და ზესაშვილი. გამყალბებლები თავიანთ საქმეებს არც კი მალავდნენ, სხვებს ეუბნებოდნენ, თქვენ თუ გაყალბების 1 მეთოდი იცით, ჩვენ 98 მეთოდის გამოყენება შეგვიძლიაო. „ევროპულ საქართველოს“ დიდი პიარი აქვს, მაგრამ, სინამდვილეში, ბოკერიასა და გოგორიშვილის პარტიას ხალხი არ ენდობა. ამათი რეინკარნაცია წარმოუდგენელია.

– სხვა სუბიექტებზე რას იტყვით?

– წინა პლანზე ისევ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობაა. ახალი მოდელით პარლამენტში მეტი მოხვდება, მაგრამ დიდი სიჭრელე არ იქნება. ძალიან ტრაბახობს „ლელო“. საბჭოთა დროს ორი ძირითადი სპორტული გაზეთი გამოდიოდა – „ლელო“ და „სოვეტსკი სპორტი“. თავისი აზროვნებითა და წარსულით ეს „ლელო“ „სოვეტსკი სპორტს“ უფრო მაგონებს. მის სათავეში არიან პირები, რომლებსაც დამძიმებული წარსული აქვთ. რომელიმე კარგი იდეაც რომ წამოაყენონ, ეს არაფერია. იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ წარმოთქვამს ინიციატივას! თავისი ელექტორატი ჰყავს პატრიოტთა ალიანსს. ის თავის პროცენტებს მიიღებს.

რა არის ლარის კურსის ხელოვნურად გაუფასურების მიზეზი?

„პრობლემა არის ფუნდამენტური – ეს გახლავთ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა“. ლარის ბოლოდროინდელი არასტაბილურობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას. ეს განცხადება „მსოფლიოს სავალუტო ფონდს“ ეკუთვნის. აღნიშნული განცხადება სსფ-მ არცთუ ისე დიდი ხნის წინ გააკეთა და ეს ლარის მკვეთრი გაუფასურების ერთგვარი პასუხიც იყო.

ამას მოჰყვა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის საკანონმდებლო ორგანოში დაბარება, რომელიც მიმდინარე თვის პირველ ნახევარში შედგა და სადაც გვენეტაძეს დეპუტატების საკმაოდ მწვავე კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა.

სწორედ ამ საკითხებისა და ზოგადად სებ-ის ბოლოდროინდელი საქმიანობის შეფასება ვთხოვეთ ფინანსისტსა და პრეზიდენტის ყოფილ მრჩეველ **თემურ ბასილიას.**

ინტერვიუს მოცულობიდან გამომდინარე, მას ორ ნაწილად გთავაზობთ.

– გასულ კვირას პარლამენტში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოსმენა შედგა. როგორც მოსალოდნელი იყო, დეპუტატების კითხვების უმრავლესობა სებ-ის მთავარ მანდატს, ფასების სტაბილურობას ეხებოდა. როგორც კობა გვენეტაძემ განმარტა, ინფლაციის თარგეთიდან გადახრა ეგ ზოგენურ ფაქტორებს უკავშირდება და ამის დასადასტურებლად გასული წლის მაგალითიც მოიშველია, როდესაც ქვეყანას რუსული სანქციები დაატყდა თავს. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ არგუმენტს, შეეძლო თუ არა ბოლო ორ წელიწადში სებ-ს ინფლაციის მართვა და ზოგადად როგორ შეაფასებდით კობა გვენეტაძის გამოსვლას პარლამენტში?

– ბოლო წლებია, ეროვნული ბანკი ცდილობდა, დაემკვიდრებინა აზრი, რომ მათ არ ეხებათ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები და რომ თითქოს ერთადერთი სფერო, რომელიც მათ ეხება, ინფლაციაა. მათი მხრიდან ეს იყო მცდელობა, რომ მოეხსნათ პასუხისმგებლობა ფულად-საკრედიტო სფეროში არსებულ სერიოზულ ჩავარდნებზე.

მაგრამ, ახლა აღმოჩნდა, რომ უკვე მეორე წელიწადია, რაც ინფლაციის კუთხითაც საქმე არცთუ სახარბიელოდ არის. მაგალითად, მიმდინარე წლის მაისში წლიური ინფლაციის დონემ 6.5% შეადგინა, რაც ორჯერ და უფრო მეტია ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე, რომელიც 3.0%-ს შეადგენს. მოსახლეობა კარგად ხედავს, რომ ფასები სამომხმარებლო პროდუქციაზე იზრდება. სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში ხილის ფასი 47%-ით გაიზარდა, რძის ნაწარმის – 25%-ით, ხორცპროდუქტების – 13.5%-ით, პურპროდუქტების – 9.2%-ით. ბუნებრივია, ფასების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა პირველ რიგში ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობაა.

პროფესიონალი, პასუხისმგებლობის მქონე და ღირსეული ადამიანები აღიარებდნენ მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს და შეეცდებოდნენ, გამოესწორებინათ ვითარება. მაგრამ, რას აკეთებს ეროვნული ბანკი? სამწუხაროდ, მისი ხელმძღვანელობა აგრძელებს არჩეულ კურსს, რომ თითქოს მათ არაფერი ეხებათ.

ბუნებრივია, ისინი ვერ იტყვიან, რომ ინფლაციის მაჩვენებელზეც არ არიან პასუხისმგებლები, რადგან ეს შავით თეთრზე წერია ეროვნული ბანკის შესახებ კანონში. ამიტომაც ისინი ცდილობენ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რომ ინფლაციის გამომწვევი მიზეზი საგარეო ფაქტორებია და არა საკუთარი არაპროფესიონალიზმი და არაკომპეტენტურობა.

რა თქმა უნდა, გარეფაქტორები მოქმედებს ლარის გაცვლით კურსზე, მაგრამ უმთავრესი პრობლემა ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა. ამის დასადასტურებლად მოვიყვან კონკრეტულ მაგალითს: იყო შემთხვევა, როდესაც გაცვლითი კურსის დასტაბილურების მიზნით ეროვნულმა ბანკმა 100 მილიონი დოლარი გამოიტანა ბაზარზე ანუ მიმოქცევიდან ამოიღო დაახლოებით 350 მილიონი ლარი, მაგრამ ზუსტად იმავე პერიოდში „რეფინანსირების“ სესხების სახით ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში გაუშვა 2.4 მილიარდი ლარი.

ბუნებრივია, ასეთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში რა აზრი აქვს 100 მილიონი დოლარის გაყიდვასა და ამით მიმოქცევიდან 350 მილიონი ლარის ამოღებას, როდესაც იგივე ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხების სახით მიმოქცევაში დამატებით უშვებს თითქმის 9-ჯერ მეტ ლარს. ეს ხომ წყალში გადაყრილი ფულია.

რაც შეეხება გასული წლის რუსულ სანქციებს, ეროვნული ბანკი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ლარის კურსის მკვეთრი რყევები გამოწვეული იყო ტურისტების რაოდენობის შემცირებით. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამოცხადების შემდეგ უარყოფითი მოლოდინები ნამდვილად შეიქმნა, რამაც გარკვეული გავლენა იქონია ლარის კურსზეც, მაგრამ ძალიან მალევე, ტურიზმის სფეროს ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, უარყოფით მოლოდინებს არავითარი საფუძველი აღარ ჰქონდა.

ტურიზმის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ნათლად აჩვენებდა, რომ გასულ წელს რუსი ტურისტების რაოდენობა მცირედით მართლაც შემცირდა რუსეთის ხელისუფლების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, მაგრამ, მთლიანობაში, ტურისტების რაოდენობამ არათუ იკლო, არამედ, გაიზარდა კიდეც.

გარდა ამისა, რაც ნამდვილად მისასალმებელია, ასევე გაიზარდა ამ სფეროს შემოსავლებიც, ანუ ოფიციალური სტატისტიკა ადასტურებს, რომ ტურიზმის სფეროს არ ჰქონია რაიმე უარყოფითი გავლენა ლარის კურსის ვარდნაზე.

მოკლედ, პრობლემა არის ფუნდამენტური – ეს გახლავთ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც არ უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობას. სწორედ ეს პოლიტიკაა შესაცვლელი, რადგან ფინანსური სტაბილურობა გახლავთ ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობა.

– მოდით, კვლავ შევეხოთ გასული წლის კრიზისს – შარშანდელი დაგვიანებული რეაგირება გვენეტაძემ ბაზარზე არსებული გაურკვევლობით ახსნა. კერძოდ, გვენეტაძის პათოსით გასულ წელს საგარეო მოთხოვნის შესუსტების პარალელურად, როდესაც მოსალოდნელი იყო პოტენციური დამატებითი სანქციებიც, თუ ამას დაემატებოდა გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად შეანელებდა ეკონომიკურ ზრდას. რამდენად მისაღებია ეს არგუმენტი თქვენთვის და, ზოგადად, როგორ გგონია, საქართველოს ტიპის ქვეყნებში ასეთი დილემების დროს რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა – 1%-ით მეტ ეკონომიკურ ზრდას თუ ფასების საერთო დონის მართვას?

– სამწუხაროდ, ეროვნული ბანკი აქაც არასწორ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას; როგორც უკვე აღვნიშნე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და ფინანსური სტაბილურობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია. ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას სწორედ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობა წარმოადგენს. სწორედ ეს ფინანსური სტაბილურობა ქმნის ეკონომიკური ზრდის საფუძველს. სამწუხაროა, რომ ეროვნული ბანკის დღევანდელ ხელმძღვანელობას არ ესმის ეკონომიკის ეს ანბანური ჭეშმარიტება, რაც, წესით, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებმაც კი უნდა იცოდნენ.

თეზისი, თითქოსდა მკაცრი ან გონივრული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ყოველთვის აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, არის არასწორი. გარკვეულ შემთხვევებში ეკონომიკაში ფულის გარკვეული დოზით მიწოდებამ, შესაძლოა, მართლაც შეუწყოს ხელი ეკონომიკის ზრდას, მაგრამ, ხაზს ვუსვამ, რომ ეს უნდა იყოს გარკვეული დოზით მიწოდება, რამაც არ უნდა გამოიწვიოს ინფლაციის მკვეთრი ზრდა და საფრთხე არ შეუქმნას ფინანსურ სტაბილურობას. წინაალმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ თურმე ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ყოფილა ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი. ნუ დაგვავიწყდება საქართველოში ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგები, რაც 1992-1993 წლებში ტარდებოდა და რამაც ქვეყანა ჰიპერინფლაციამდე და ფინანსურ და ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა.

ფინანსური არასტაბილურობა სერიოზული პრობლემა რომ შეიძლება გახდეს, ამის თაობაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდიც მიუთითებდა. მათ ერთ-ერთ ბოლო ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ „ლარის გაცვლითი კურსის გადაჭარბებული რყევები, შესაძლოა, ფინანსური სტაბილურობის კუთხით საფრთხის შემცველიც კი იყოს. სწორედ ამიტომ ადეკვატური ლიკვიდობის დონის უზრუნველყოფა ფინანსური სტაბილურობის გარანტია“.

დიპლომატიურ ენაზე დაწერილი ეს ფრაზა კი ნიშნავს, რომ ლარის კურსის ხელოვნური გაუფასურება და მანიპულაციები საფრთხეს უქმნის ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას. ლარის კურსის ხელოვნურად გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი ეროვნული ბანკის ე.წ. რეფინანსირების სესხებია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ბანკებს არა აქვთ ლიკვიდობა ანუ ბანკებს არა აქვთ მიმდინარე ვალდებულებების დასაფარი ფული. რატომ არა აქვთ ბანკებს მიმდინარე ვალდებულებების დასაფარი ფული? ეს ძალიან საინტერესო კითხვაა, რომელზეც პასუხის გაცემას ეროვნული ბანკი თავს არიდებს, რადგან ნათლად წარმოჩნდება მათ მიერ დაშვებული სერიოზული შეცდომები.

გაზეთი „ბანკები და ფინანსები“

ნიკოლოზ ბასილაშვილზე გამოწერილი შემაკავებელი ორდერი გაუქმდა

ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერი ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, გუშინ გაუქმდა.

ორდერის გაუქმების მიუხედავად, ჩოგბურთელს შვილთან და ყოფილ მეუღლესთან მიახლოება კვლავ ეკრძალება.

„პრაიმტაიმთან“ მიზეზს ბასილაშვილის ყოფილი მეუღლის, ნეკა დოროყაშვილის უფლებადამცველი ანა აბაშიძე განმარტავს:

– ნიკოლოზ ბასილაშვილი გახლავთ ბრალდებული და შემაკავებელი ორდერის გაუქმების მიუხედავად, მას სასამართლოს განჩინებით აკრძალული აქვს მიახლოება, როგორც შვილთან, ისე ნელი დოროყაშვილთან.

თუ ის გადაწყვეტს ამ განჩინების დარღვევას, ამაზე იქნება სამართლებრივი პასუხი. ამრიგად, მას განჩინება უკრძალავს ფიზიკურ კონტაქტს.

ცხადია, ორდერი უფრო მეტი დაცულობის გარანტიას იძლევა, მათ შორის კომუნიკაციის გზებთან დაკავშირებით, მაგრამ, თუ ვინმეს აზრად მოუვა რაიმე სამართალდარღვევის ჩადენა, გარწმუნებთ, ასეთი ორდერები კვლავ გამოიცემა, – განაცხადა ანა აბაშიძემ.

მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით ყოფილ ცოლზე ძალადობის ბრალდებით ნიკოლოზ ბასილაშვილი 22 მაისს დააკავეს.

წინასწარი პატიმრობიდან სასამართლომ ის 100.000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

„გადავვარდი ხევში, შაქარა ჩარბოდა ჩასახვევში და იმის მერე აღარ მინახავს“

რას ყვება ოქროს მოწმე გუკა ამირხანაშვილი

4-დღიანი ძებნის შემდეგ 19 წლის ფეხბურთელის ცხედარი მდინარე არაგვში იპოვეს. გიორგი შაქარაშვილის გვამს იმ ტერიტორიიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მიაგნეს, საიდანაც მისი კვალი საბოლოოდ დაიკარგა.

გარდაცვლილის მეგობარი და ტრაგედიის „ოქროს მოწმე“ „მთავარ არხთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში იმ ფაქტებს იხსენებს, რომლებიც 18 ივნისის ღამეს ტრაგედიას წინ უძღოდა.

გუკა ამირხანაშვილი ბოლო ადამიანი იყო, რომელთანაც გარდაცვლილ ახალგაზრდას კონტაქტი ჰქონდა.

ნარეკვავის აგარაკზე დაბადების დღეზე მისული ახალგაზრდების ორი ჯგუფი ერთმანეთს წვეულების დაწყებიდან მალევე დაუპირისპირდა, 10-ზე მეტი ადამიანი ნაცემი იყო.

წვეულების ჩაშლის შემდეგ სტუმრების ერთმა ჯგუფმა იუბილის აღნიშვნა დამოუკიდებლად გადაწყვიტა. გიორგი შაქარაშვილის მეგობარი იხსენებს, რომ დაბადების დღიდან წამოსულებს ქუჩაზე 2 მანქანა დაეწიათ. ორივეში იმ პირების ახლობლები ისხდნენ, ვისთანაც მათ მეგობრებს ჩხუბი მოუვიდათ.

დაპირისპირების თავიდან არიდების მიზნით შაქარაშვილმა და გუკა ამირხანაშვილმა გაქცევა გადაწყვიტეს.

– მერე რომ გავიქეცით, შაქარა ისე სწრაფად გარბოდა, რომ ვერ დავეწიე და სხვა გზით მომიწია წასვლა. ამ დროს გადავვარდი ხევში, შაქარა ჩარბოდა ჩასახვევში და კიდევ ერთი ტიპი. მანდ ვნახე, რომ ჩარბოდა, მაგის მერე არ მინახავს, – უყვება მთავარ არხს გუკა ამირხანაშვილი.

ამ დროს ამირხანაშვილს შავი ფერის „ტოიოტა ქამრი“ დაეწია, მანქანაში ჩასვეს და თბილისში წაიყვანეს.

არც შაქარაშვილი და არც ამირხანაშვილი ჩხუბში მონაწილეობას არ იღებდნენ და ორივე მათგანი დაპირისპირებულ მხარეებს აშველებდნენ.

დაპირისპირებული ჯგუფებიდან ერთ ერთი, ნაძალადევის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდები იყვნენ.

22 ივნისს მცხეთის პოლიციაში ვერცხლისფერი ავტომანქანა მიიყვანეს და დეტალურად შეისწავლეს გადაადგილების ტრაექტორია. სათვალთვალო კამერებმა სწორედ ეს ავტომობილი დააფიქსირეს ინციდენტიდან მალევე იმ ადგილას, საიდანაც გიორგი შაქარაშვილის კვალი ქრება.

ავტომანქანის მეპატრონის ადვოკატი აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს დაპირისპირებულ მხარეებთან კავშირი არ ჰქონია.

საქმის ერთ-ერთი ფიგურანტის ადვოკატმა მზია ქასრაშვილმა გადაცემა „360 გრადუსში“ ისაუბრა იმის თაობაზე, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა, რომელიც მოწმის სტატუსით დაიკითხა, მცხეთაში წვეულებაზე პირველად ნახა გიორგი შაქარაშვილი.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ამბობს, როცა ჩვენ მივედით, 4-6 კაციანი ჯგუფი, იქ დაგვხვდნენ სტუმრები, რომლებსაც არ ვიცნობდითო. ანუ, იმ გოგონას მეგობრები, ვისი დაბადების დღეც იყო. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მივიდა ჯერ და შემდეგ უკვე მოჰყვა გიორგი შაქარაშვილიც მათ, იქ გაიცნეს ერთმანეთი.

როცა შევედით, იქ უკვე მთვრალები იყვნენო. ამ ჯგუფს შეჰყვა ელექტრონული მუსიკის დიჯეი და მთვრალი ახალგაზრდებისგან წამოვიდა შეურაცხმყოფელი სიტყვები – ბიჭო, დიჯეი და ა.შ. რადგან ფხიზლები ვიყავით, ეს „გავუტარეთო“, მერე უკვე ახალგაზრდა გოგონების შევიწროება დაიწყო იმ ჯგუფმა, რომელიც დახვდა ადგილზე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს. ამაზე შენიშვნა მივეცითო.

დაპირისპირება დაიწყო დიჯეის გამო, აბუჩად აიგდეს თითქოს... ამათ კი უპასუხეს, ეს დიჯეი არ არის, უბრალოდ, იცის დაკვრა და ჩვენ რომ გავმხიარულდეთ, დაუკრავს, ამაში ცუდი რა არისო. არ აყვნენ მთვრალებს, დაიწყეს გართობა, ცეკვა და უცებ გავიგონე გარეთ ხმაური, ჩხუბის ხმაო – მეუბნება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი. გარეთ გავედით და ჩემს ძმაკაცებს ეჩხუბებოდნენო, ეს ხდება აგარაკის ტერიტორიაზე. ცემა და ჩხუბი იყო და დამთავრდა რამდენიმე წუთში.

ამის შემდეგ, იმისთვის რომ მთლად არ ჩაგვეშალა დაბადების დღე ანასთვის, წავედით ლისზე, რომ იქ გაგვეგრძელებინა წვეულებაო. შვიდი კაცი ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. დანარჩენები დარჩნენ და მათ შორის გიორგიც, ისინი ეტყობა ტაქსს ელოდნენ, რომ წასულიყვნენ ლისზე. შემდეგ უკვე რა მოხდა, არ ვიცით“, – ახმოვანებს ადვოკატი მზია ქასრაშვილი თავისი კლიენტის ნაამბობს.



ნარეკვავის აგარაკზე ჩხუბი დიჯეის გამო დაიწყო

❖ ❖ ❖

23 ივნისს მცხეთის პოლიციის შენობაში ორი მოწმე გამოკითხვაზე ხელმეორედ დაიბარეს. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მოწმის სახით გამოსაკითხი პირების ადვოკატმა ალექსანდრე კობაიძემ განუცხადა.

აღნიშნული პირები შავი ფერის ტოიოტა ქამრის მძღოლი და მგზავრი არიან, რომლებიც სათვალთვალო კამერამ ნატახტრის ტერიტორიაზე დააფიქსირა. სწორედ აღნიშნულმა მანქანამ დატოვა ერთ-ერთ მეტროსადგურთან ე.წ. ოქროს მოწმე გუკა ამირხანაშვილი.

– მათი დაბარება განმეორებით მოხდა, ეს ადამიანები გადაადგილდებოდნენ იმ მანქანით, რომელსაც ე.წ. ოქროს მოწმე ჰყავდა. აღნიშნულმა მოწმემ თავიდან თქვა, რომ არანაირი ფიზიკური შეურაცხყოფა, ძალადობა არ ყოფილა, შემდეგ კი თქვა, რომ მასზე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფების მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა. ჩემი შეფასებით, ხელმეორედ გამოკითხვაზე ამის გამო დაგვიბარეს, ჩვენ მზად ვართ, მათ კითხვებს ვუპასუხოთ.

თუ არ ვცდები, ე.წ. ოქროს მოწმე ნატახტრის ტერიტორიიდან წამოიყვანეს, გარდაცვლილი მათ არ უნახავთ, ვინაიდან, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები მომხდარი ფაქტის – ჩხუბის შემდეგ, დაგვიანებით მივიდნენ. მანქანით გადაადგილებისას, დაინახეს, რომ 4 ადამიანი გადაადგილდებოდა ფეხით და გაუჩერეს. მათგან 3 ადამიანი, მათ შორის, გარდაცვლილი გაიქცა. ე.წ. ოქროს მოწმე დარჩა და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებმა ჩაისვეს. ეს მოწმე ამბობს, ისინი მინდოდა გადამერჩინა და იმიტომ დავრჩიო, – აღნიშნა ადვოკატმა კობაიძემ.

საბოლოოდ, შავი „ტოიოტა ქამრის“ მძღოლმა და მისმა მგზავრმა პოლიციის შენობა ისე დატოვეს, მათი გამოკითხვა ვერ მოესწრო, ვინაიდან დილიდან დაწყებული გამოკითხვები არ იყო დასრულებული.

საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტი კახა ერისთავი ჩაერთო. ის აცხადებს, რომ მთავარ კითხვებს პასუხი ახლა უკვე ქიმიურმა და გისტოლოგიურმა კვლევამ უნდა გასცეს.

– მიმდინარეობს ქიმიური კვლევები, წყალში დაიხრჩო თუ არა ამასთან დაკავშირებით და ასევე, გისტოლოგიური გამოკვლევებიც. აღნიშნულის პასუხები რომ იქნება, მერე ვისაუბროთ, რადგან შედეგები მეც მეცოდინება. პირველადი დათვალიერების შედეგებს ვერ გეტყვით, რადგან მე თვითონაც არ ვიცი, – განაცხადა ერისთავმა.

ვლადიმერ ბორცვაძე: „გაძლევთ გარანტიას, რომ ჩვენი რეაქცია იქნება მყისიერი გიორგი შაქარაშვილის საქმეზე“

გუშინ, 23 ივნისს, აღნიშნულ საქმეზე ბრიფინგი გამართა შს მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძემ.

– შინაგან საქმეთა სამინისტრო უსამძიმრებს გიორგი შაქარაშვილის ოჯახს და თანადგომას უცხადებს მას.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს მოგაწოდოთ ინფორმაცია 2020 წლის 19 ივნისს მცხეთაში ნარეკვავის დასახლებაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

2020 წლის 19 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტში შემოვიდა შეტყობინება გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ, რის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება გიორგი შაქარაშვილის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტზე.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამ ეტაპზე ირკვევა, რომ 2020 წლის 18 ივნისს საღამოს გიორგი შაქარაშვილი მცხეთის რაიონის სოფელ ნარეკვავის დასახლებაში სტუმრად იმყოფებოდა მეგობრის მიერ ნაქირავებ სახლში, სადაც ცალკეულ პირთა შორის ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

მოგვიანებით, დასახელებული კონფლიქტი გაგრძელდა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, მდინარე არაგვზე მდებარე ხიდის სიახლოვეს, რის შემდგომაც გიორგი შაქარაშვილის კვალი დაიკარგა და 4 დღიანი ინტენსიური სამაშველო სამუშაოების შედეგად მდინარის კალაპოტში აღმოჩენილ იქნა მისი ცხედარი.

გვინდა საზოგადოებას განვუმარტოთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საქმის გამოძიების პროცესში მუშაობს ყველა მიმართულებით, განიხილება არაერთი საგამოძიებო ვერსია, სხვადასხვა სპეციალიზაციის გამომძიებლების შემადგენლობით შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი.

გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით მიმდინარეობს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ გარდაცვლილის ოჯახთან და გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ დაუყოვნებლივ ვაწვდით ინფორმაციას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს ყველა იმ პირის, ვინც მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ფლობს რაიმე სახის ინფორმაციას, დაუყოვნებლივ მოგვმართონ და მაქსიმალურად ითანამშრომლონ ჩვენთან, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

ვლადიმერ ბორცვაძის განცხადებით, გიორგი შაქარაშვილის კვალის დაკარგვამდე, მომხდარ კონფლიქტში შაქარაშვილის მონაწილეობის ფაქტი არ იკვეთება.

– გამოძიება პირველ ეტაპზე დაიწყო თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე, ვინაიდან ჩვენ გვქონდა შეტყობინება გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ჩატარდა გადაუდებელი და შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები, გამოიკვეთა ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი, კვალიფიკაციას დაემატა ძალადობის მუხლი და დღეის მდგომარეობით გამოძიება მიმდინარეობს თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ძალადობის მუხლებით, – დასძინა ვლადიმერ ბორცვაძემ.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება.

– გაძლევთ იმის გარანტიას, რომ თუ შეიკრიბება შესაბამისი მტკიცებულებები, რაც დააკმაყოფილებს სტანდარტს კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დასაწყებად, ჩვენი რეაქცია იქნება მყისიერი, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ ამ საქმეზე ჩასატარებელია კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებები, გამოსაკითხია ათეულობით მოწმე დამატებით და შემდგომ ის პირები, ვინც ჯერჯერობით გამოკითხული არ არის.

– ჩასატარებელია უამრავი ექსპერტიზა, შესაბამისად, ერთ დღეში და ორ დღეში გამოძიება შედეგს ვერ დადებს. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს, მაგრამ გაძლევთ იმის გარანტიას, რომ თუ შეიკრიბება შესაბამისი მტკიცებულებები, რაც დააკმაყოფილებს სტანდარტს კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, ჩვენი რეაქცია იქნება მყისიერი, – აღნიშნა ვლადიმერ ბორცვაძემ.

სუსმა დუშეთში დააკავა ცოლ-ქმარი, რომლებმაც ახალშობილი 5.000 დოლარად გაყიდეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჩვილის ყიდვა-გაყიდვის ფაქტზე სამი პირი დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ დუშეთში მცხოვრებ წყვილს, 2020 წლის 18 ივნისს ვაჟი შეეძინათ. დიდი ოდენობით შემოსავლის მიღების მიზნით, მათ განიზრახეს ბავშვის გაყიდვა. მშობლები დაუკავშირდნენ პირს, რომელსაც შეუთანხმდნენ, რომ 5.000 აშშ დოლარის სანაცვლოდ შვილს მიყიდდნენ, რაზეც მან თანხმობა განუცხადა. რის შემდეგაც, აღნიშნული პირი სამოქალაქო რეესტრში ახალშობილის მამად დარეგისტრირდა და აიღო დაბადების მოწმობა. შეთანხმებისამებრ, 5.000 აშშ დოლარი კი ახალშობილის მშობლებს გადასცა. როდესაც მოხდა მათი დაკავება.



გამოძიება არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ორიდან ხუთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

გუშინ, 23 ივნისს, ჩვილის გაყიდვის საქმეში ახალი დეტალები გახდა ცნობილი. შესაძლოა, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა წყვილმა საკუთარი შვილი დიდი ოდენობით თანხის სანაცვლოდ გაყიდა. „კურიერის“ ინფორმაციით, გამოძიება ამ მიმართულებითაც მუშაობს, მეზობლები კი ადასტურებენ, რომ ქალი აქამდეც იყო ფეხმძიმედ, თუმცა ბავშვი სახლში არ მიუყვანია.

ვერსია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, წამოვიდა იმ ადამიანებისგან, რომელთაც ამ ქალთან ჰქონდათ შეხება. მათი თქმით, ქალი ერთი წლის წინაც ორსულად იყო და მშობიარობისთვის დუშეთიდან თბილისში ჩავიდა, უკან დაბრუნებულმა კი განაცხადა, რომ ბავშვი აღსაზრდელად ბებიას დაუტოვა.

– ბიჭი ჰყავთ ერთი, არ ვიცი, რამდენი წლის არის, მერე იყო ფეხმძიმედ და მეორე ბავშვი არ გვინახავს, დედასთან მყავს დატოვებულიო, ახლა ფეხმძიმედ არის კიდევ, საავადმყოფო ფურცელი მოიტანა, გავიდა შვებულებაში აპრილში. მას შემდეგ არაფერი მსმენია, ახლა გავიგე მიზეზი, რის გამოც დაიკავეს, – განაცხადა დაკავებული ქალის თანამშრომელმა.

ბავშვი ამ დროისთვის სახელმწიფო ზრუნვის ქვეშაა.

– ჩართული იქნა ჩვენი სამსახური აღნიშნულ შემთხვევაში, კერძოდ, სოციალური მუშაკი. მოხდება შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა და მიიღებენ გადაწყვეტილებას. ამ წუთში ბავშვი მინდობით აღზრდაში იმყოფება და სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ არის, – უთხრა „კურიერს“ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე ლაშა ჯინჯიხაძემ.

არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის გ.გ-ს 10 წელი მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არასრულწლოვნის გაუპატიურებაში ბრალდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სენაკის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურებაში ბრალდებული გ.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურდა, რომ 2019 წლის 22 ნოემბერს, ქალაქ სენაკში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, გ.გ.-მ მოსთხოვა არასრულწლოვან ს.გ.-ს დაემყარებინა მასთან სქესობრივი კავშირი. უარის მიღების შემდეგ გ.გ.-მ არასრულწლოვნის ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით დაამყარა მასთან სექსუალური კავშირი.

სამართალდამცველებმა გ.გ. 2019 წლის 23 ნოემბერს დაიკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გაუპატიურება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

სენაკის რაიონულმა სასამართლომ გ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ტრამპმა სამუშაო ვიზების გაცემა 2020-ის ბოლომდე შეაჩერა

შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ზოგიერთი კატეგორიის სამუშაო ვიზის გაცემა 2020 წლის ბოლომდე შეაჩერა. ამ პერიოდამდე გახანგრძლივდა მწვანე ბარათზე დაწესებული შეზღუდვაც.

დონალდ ტრამპის განკარგულების თანახმად, გარკვეული გამონაკლისების გარდა, დროებით აღარ გაიცემა ის ვიზები, რომლებიც სეზონურ სამუშაოზე დასაქმებულებისთვის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთვის, ტექნოლოგიების სფეროში მომუშავეებისთვის, ასევე კულტურული და პროფესიული გაცვლითი პროგრამების მონაწილეებისთვისაა განკუთვნილი.

თეთრ სახლში აცხადებენ, რომ სამუშაო ვიზებზე დროებითი შეზღუდვა კოვიდ-19-ის პანდემიის დროს უსამსახუროდ დარჩენილი ამერიკელი მოქალაქეებისთვის სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს.

დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებას არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ შტატების პრეზიდენტი საიმიგრაციო პოლიტიკის გასამკაცრებლად კორონავირუსის პანდემიის არგუმენტს იყენებს.

ფაშისტების ყოფილ ციხესიმაგრეში განძს მიაგნეს

მეცნიერებმა პოლონეთის ქალაქ ნოვი-სონჩში მდებარე XIV საუკუნის ციხე-სიმაგრეში ზარდახშა იპოვეს, რომელიც სავსე იყო ვერცხლის თასებით, ვაზებით, დანა-ჩანგლებით, კოვზებით და სხვადასხვა ჭურჭლით.

აღნიშნული აღმოჩენა სამეფო ციხესიმაგრეში არქეოლოგიური სამუშაოების დროს გაკეთდა. განძი, სავარაუდოდ, ებრაელთა ოჯახებს ეკუთვნოდა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ნოვი-სონჩიში ცხოვრობდნენ. ომის დაწყების შემდეგ ყველა ეს ნივთი ნაცისტებმა გადამალეს, განაცხადა ადგილობრივმა არქეოლოგმა ბართოლომეი ურბანსკიმ, რომელიც არქეოლოგიურ სამუშაოებს ესწრებოდა,

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 1941 წელს ქალაქის ებრაული მოსახლეობა გეტოში შერეკეს. 1942 წელს ფაშისტებმა გეტო დახურეს, ხოლო მისი მცხოვრებლები დახოცეს. იმ დროისთვის სამეფო ციხესიმაგრე გერმანელი ჯარისკაცების ყაზარმად იყო გადაქცეული. 1945 წელს ის პოლონელებმა ააფეთქეს.

სულ არქეოლოგებმა 103 სხვადასხვა ნივთი იპოვეს, რომლებიც პოლონეთსა და ავსტრიაშია დამზადებული. შესწავლის შემდეგ მათ ადგილობრივ მუზეუმს გადასცემენ.

დიდ ბრიტანეთში ლუდის ბარები და რესტორნები 4 ივლისიდან გაიხსნება

დიდ ბრიტანეთში როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის ლუდის ბარები და რესტორნები 4 ივლისიდან გაიხსნება.

ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომელმაც ქვეყნის პარლამენტს შეზღუდვების მოხსნის ახალი გეგმა წარუდგინა.

გარდა ამისა, პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, 4 ივლისიდან დიდ ბრიტანეთში სასტუმროები, სასაუზმეები, საპარიკმახეროები, სათამაშო მოედნები, მუზეუმები, გალერეები, თემატური პარკები, ღია სპორტული დარბაზები, პასაჟები, ბიბლიოთეკები, სოციალური კლუბები და საზოგადოებრივი ცენტრები იხსნება.

ბორის ჯონსონის თქმით, ამ ეტაპზე არ იგეგმება ღამის კლუბების, სპა ცენტრების, დახურული სათამაშო მოედნების, ბოულინგის დარბაზების, დახურული სპორტული დარბაზების, ფრჩხილის სალონების, საცურაო აუზებისა და წყლის პარკების გახსნა.

გარდა ამისა, 4 ივლისიდან ქვეყანაში მოქალაქეებისთვის დაწესებული 2-მეტრიანი დისტანცირების ნორმა 1 მეტრამდე მცირდება.

ბორის ჯონსონმა მოქალაქეებს მოუწოდა, შეზღუდვების შემსუბუქების მიუხედავად, სიფრთხილე გამოიჩინონ და განმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, შეზღუდვები კვლავ დაწესდეს.

– ყველა ეტაპზე ჩვენს მთავარ სიტყვად რჩება სიფრთხილე. ყოველი ეტაპი პირობითი და შექცევადია, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

ცნობისათვის, ბოლო მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში კორონავირუსის 305.289 შემთხვევაა დადასტურებული, გარდაცვლილია 42.647 ადამიანი.

ქალი ბანკის მინის კარს დაეჯახა და დაიღუპა

ინდოეთის კერალის შტატის ქალაქ პერუმბავურის მცხოვრები ქალი შემთხვევით ბანკის განყოფილების მინის კარს დაეჯახა და შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

46 წლის ბინა ჯიჯუ პოლი ბანკის განყოფილებაში მივიდა და სალაროსკენ გაემართა, მაგრამ მოულოდნელად შეტრიალდა, ქუჩისკენ გაიქცა, სავარაუდოდ, მას გაახსენდა, რომ იქვე დაყენებული სკუტერის გასაღები დაავიწყდა.

ქალმა მინის კარი ვერ შენიშნა და დაეჯახა. მინა ჩაიმსხვრა, ქალი კი იატაკზე დაეცა. მინის ერთ-ერთი ნამსხვრევი ზედ დაეცა და მუცელი გაუფატრა. ქალს ბანკში მყოფები მისცივდნენ, წამოაყენეს და სავარძელში მოათავსეს. მან გონება დაკარგა.

ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლები შემთხვევის ადგილზე ოთხ წუთში მივიდნენ და ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის მალევე გარდაიცვალა მიღებული ტრავმების შედეგად.

ყირგიზეთის ყოფილ პრეზიდენტს 11 წლით პატიმრობა მიესაჯა

ყირგიზეთის სასამართლომ ყოფილ პრეზიდენტ ალმაზბეკ ატამბაევს 11 წლითა და 2 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლომ ატამბაევი 2013 წელს ერთ-ერთი კრიმინალური ავტორიტეტის, აზიზ ბატუკაევის ციხიდან უკანონოდ გათავისუფლებასთან დაკავშირებით კორუფციულ გარიგებაში დამნაშავედ ცნო.

ატამბაევის მხარდამჭერები ბრალდებას უარყოფენ და ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოტანილ განაჩენს მას და პრეზიდენტ სოორონბაი ჟეენბეკოვს შორის არსებულ კონფლიქტს უკავშირებენ.

ალმაზაკ ატამბაევი ყირგიზეთს 2011-2017 წლებში მართავდა. ის სამართალდამცავებმა 2019 წლის აგვისტოში დააკავეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ოჯახური ლუდის, კოლასა და რძის არევა მამაკაცს სიცოცხლის ფასად დაუჯდა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მამაკაცი მას შემდეგ დაიღუპა, რაც სახლში დამზადებული ლუდი დალია, ხოლო მის თანამეინახეს მხედველობის პრობლემები შეექმნა.

უმუშევარმა ტაპერა ედვარდ კუსენიმ მეზობლისგან ნახევარი ლიტრი სახლში დამზადებული ალკოჰოლური სასმელი 20 სამხრეთაფრიკულ რენდად იყიდა. ძმასთან ერთად ლუდს მან კოლა და რძე შეურია, იმ დღეს დაიძინა, დალევა კი მეორე დღეს გააგრძელა. ორშაბათს კუსენმა ისევე, როგორც მისმა თანამეინახემ, თავი შეუძლოდ იგრძნო.

აფრიკელის ფეხმძიმე მეუღლემ თავდაპირველად იფიქრა, რომ ქმარი, უბრალოდ, ნაბახუსევი იყო, მაგრამ მისი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა, ისევე, როგორც მისი ძმის. ორივე მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა კუსენის გადარჩენა ვეღარ შეძლეს, მაგრამ მისი ძმის გადარჩენა მოხერხდა, თუმცა ახლა მას გამუდმებით თავის ტკივილი აწუხებს და მხედველობა სერიოზულად გაუუარესდა. ექიმები ეჭვობენ, რომ სასმელი, შესაძლოა, მეთანოლს შეიცავდა.

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო გამოცხადებული კარანტინის პირობებში და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვაზე აკრძალვის დაწესების შედეგად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სახლში ლუდის ხარშვის ბუმია, მაგრამ, იმის გამო, რომ სასმელის წარმოების დროს ბევრი უხარისხო ნედლეულს იყენებს, უბედური შემთხვევები გახშირდა. სულ კარანტინის პირობებში ქვეყანაში ექვსი ადამიანი დაიღუპა, ხოლო ოთხმა სახლში დამზადებული ლუდის მოხმარების შედეგად მხედველობა ნაწილობრივ დაკარგა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ბათუმში სულიკო ჟღენტის სახელობის კინომუზეუმი შეიქმნება



ცნობილი ქართველი კინოდრამატურგის სულიკო ჟღენტის დაბადებიდან 95 წლისთავზე ცნობილი გახდა, რომ ბათუმში სულიკო ჟღენტის სახელობის კინომუზეუმი შეიქმნება.

სულიკო ჟღენტი სცენარის ავტორია არაერთი ცნობილი ქართული ფილმისა: „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „ბურთი და მოედანი“, „წუთისოფელი“, „ნერგები“, „რაჭა, ჩემო სიყვარულო“, „ფესვები“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, „ძშობლიურო ჩემო მიწავ“...

სულიკო ჟღენტი იყო ღირსების ორდენის კავალერი, არაერთი პრემიის მფლობელი საუკეთესო სცენარის შექმნისთვის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ბათუმისა და სლოვაკეთის ქალაქ ლევიცეს საპატიო მოქალაქე, საუკეთესო სცენარების შექმნისათვის მიღებული აქვს სხვადასხვა პრემია და კინოფესტივალების პრემიების ლაურეატია.

გადაწყვეტილება სულიკო ჟღენტის სახელობის კინომუზეუმის შექმნასთან დაკავშირებით აჭარის მთავრობამ მიიღო. მისი სახელის უკვდავსაყოფად გახსნილ მუზეუმში ასახული იქნება ქართული კინოს ისტორია და თანამედროვე კინოხელოვნების განვითარების ტენდენციები. უდიდესია სულიკო ჟღენტის დამსახურება ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წინაშე. ის წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობდა კინოდრამატურგიის პროგრამას.

სულიკო ჟღენტის იუბილესთან დაკავშირებით მისი ბიუსტი ყვავილებით შეამკეს და მის ხსოვნას პატივი მიაგეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, ბათუმის მერმა, სულიკო ჟღენტის მეგობრებმა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა.

– რომ ამბობენ, მე ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადეო, არავის მოუხდია თავისი ვალი პირნათლად. ეს ყალბი გამოთქმაა. ვალს რა მოიხდის? თუნდაც ის, რომ ღმერთმა გაგაჩინა და ერთი მზიანი ან წვიმიანი დღე გაჩუქა, ისეთი გადაუხდელი და ენით აუწერელი ვალია, სიცოცხლით სავსე ერთი დღე, – ამბობდა კინოსცენარისტი.

მოდელი ანა შელია დედა გახდება

მოდელმა ანა შელიამ ინტერნეტში გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც წამოზრდილი მუცელი ეტყობა. ანამ მეგობრებისგან, ნაცნობებისა თუ უცნობებისგან უამრავი დადებითი კომენტარი და მოწონება დაიმსახურა.

ანა შელიას მეუღლე მორგბე ლაშა ლომაძეა. მათი მეგობრული ურთიერთობა სიყვარულითა და ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა, ახლა კი ოჯახის პატარა და ყველაზე საპატიო წევრის მოლოდინში არიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

22 ივნისი ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

სიტი-ბარნლი 5:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	30	27	2	1	66-21	81
2.სიტი	30	20	3	7	76-31	63
3.ლესტერი	30	16	6	8	59-29	54
4.ჩელსი	30	15	6	9	53-40	51
5.მანჩესტერი	30	12	10	8	45-31	46
6.ვულვზი	30	11	13	6	43-34	46
7.შეფილდი	30	11	11	8	30-28	44
8.ტოტენჰემი	30	11	9	10	48-41	42
9.კრ.პალასი	30	11	9	10	28-32	42
10.არსენალი	30	9	13	8	41-41	40
11.ბარნლი	30	11	6	13	34-45	39
12.ევერტონი	30	10	8	12	37-46	38
13.ნიუკასლი	30	10	8	12	28-41	38
14.საუთჰემპტონი	30	11	4	15	38-52	37
15.ბრაიტონი	30	7	11	12	34-41	32
16.უოტფორდი	30	6	10	14	28-45	28
17.ვესტ ჰემი	30	7	6	17	35-52	27
18.ბორნმუთი	30	7	6	17	29-49	27
19.ასტონ ვილა	30	7	5	18	35-58	26
20.ნორვიჩი	30	5	6	19	25-55	21

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილიარეალი-სევილია 2:2

ლეგანესი-გრანადა 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	30	19	8	3	57-21	65
2.ბარსელონა	30	20	5	5	69-31	65
3.სევილია	31	14	11	6	44-32	53
4.ატლეტიკო	30	13	13	4	38-22	52
5.ხეტაფე	30	13	9	8	39-28	48
6.ვილიარეალი	31	14	6	11	49-40	48
7.სოსიედადი	30	14	5	11	47-38	47
8.ვალენსია	30	12	10	8	41-43	46
9.გრანადა	31	12	7	12	37-36	43
10.ბილბაო	30	10	12	8	33-26	42
11.ლევანტე	30	11	5	14	37-43	38
12.ოსასუნა	30	8	11	11	35-46	35
13.ალავესი	30	9	8	13	31-45	35
14.ბეტისი	30	8	10	12	40-48	34
15.ვალიადოლიდი	30	7	12	11	25-35	33
16.სელტა	30	6	12	12	28-35	30
17.ერიბარი	30	7	8	15	31-47	29
18.მალიორკა	30	7	5	18	29-50	26
19.ლეგანესი	31	5	10	16	23-44	25
20.ესპანიოლი	30	5	9	16	26-49	24

შედეგები

იტალია. სერია ა

ლეჩე-მილანი 1:4

ფიორენტინა-ბრესშა 1:1

ბოლონია-იუვენტუსი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	27	21	3	3	52-24	66
2.ლაციო	26	19	5	2	60-23	62
3.ინტერი	26	17	6	3	51-25	57
4.ატალანტა	26	15	6	5	74-35	51
5.რომა	26	13	6	7	51-35	45
6.ნაპოლი	26	11	6	9	41-36	39
7.მილანი	27	11	6	10	32-35	39
8.ვერონა	26	10	8	8	31-27	38
9.პარმა	26	10	6	10	33-32	36
10.ბოლონია	27	9	7	11	38-44	34
11.სასუოლო	26	9	5	12	42-43	32
12.კალიარი	26	8	8	10	42-42	32
13.ფიორენტინა	27	7	10	10	33-37	31
14.უდინეზე	26	7	7	12	21-37	28
15.ტორინო	26	8	4	14	29-46	28
16.სამპდორია	26	7	5	14	29-46	26
17.ჯენოა	26	6	7	13	31-47	25
18.ლეჩე	27	6	7	14	35-60	25
19.სპალი	26	5	3	18	20-44	18
20.ბრესშა	27	4	5	18	23-50	17

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიხონი-ოვიედო 0:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

პორტიმორენშე-მარიტიმუ 3:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლარისა-ვოლოსი 3:1

ლამია-პანიონიოსი 0:1

თურქეთი. სუპერლიგა

ალანია-ტრაბზონი 2:2

ანთალია-რიზე 3:1

უკრაინა. პრემიერლიგა

დინამო-კოლოსი 2:1

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-ოდენსე 1:2

შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-მიალბი 2:2

სირიუსი-ჰაკენი 2:2

ჰელსინბორგი-ელფსბორგი 0:0

გაბედავა საბურთალოდან დინამოში გადავიდა

თბილისის დინამოს ეროვნული ლიგის ბოლო წლების საუკეთესო ბომბარდირი გიორგი გაბედავა შეემატა. 30 წლის ფორვარდმა დინამოსთან 1.5 წლით გააფორმა კონტრაქტი.

გაბედავა კარანტინში იმყოფებოდა და დიღმის ბაზაზე რეკომენდაციების სრული დაცვით, გუნდისგან იზოლირებულად ცხოვრობს და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. 2-კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ კი განმეორებით ჩაუტარდება ტესტირება და მხოლოდ ამის შემდეგ შეუერთდება გუნდს.

დინამოს ახალწვეულმა ბოლო სეზონი საბურთალოს რიგებში გაატარა, სხვადასხვა დროს კი გაგრის, მარიუპოლის, ზუგდიდის ბაიას, სამტრედიის, ბათუმის დინამოს, ჩიხურასა და სოსნოვიეცის ზაგლებიეს ღირსებას იცავდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ლიგა ხვალიდან განახლდება. გუნდები მე-3 ტურიდან გააგრძელებენ ბრძოლას და პირველივე მატჩში ერთმანეთს სწორედ გაბედავას ყოფილი და ახლანდელი გუნდები, დინამო და საბურთალო დაუპირისპირდებიან.

ბურჯანაძემ მაკფადენი დაამარცხა და შანსი დაიტოვა

ბექა ბურჯანაძის გრან კანარიამ ესპანეთის განახლებული ჩემპიონატის ფინალური ფაზა მარცხით კი დაიწყო, მაგრამ ნახევარფინალში გასვლის რეალურ კანდიდატად იქცა. კუნძულელებმა ზედიზედ მე-2 გამარჯვება მოიპოვეს და დარჩენილ 2 ტურში, ჯგუფიდან გამსვლელ ორეულში მოსახვედრად, შესაძლოა, 1 გამარჯვებაც ეყოთ.

გრან კანარიას მეტოქე საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელის გუნდი ბურგოსი იყო. ბურგოსელებიც ნახევარფინალში გასვლის კანდიდატები არიან. გასულ ტურებში მათ მადრიდის რეალი და სარაგოსა დაამარცხეს, მაგრამ ბექა ბურჯანაძის გრან კანარიასთან მატჩი ოვერტაიმიან, დაძაბულ ბრძოლაში დათმეს – 87:91.

მწვრთნელმა ფოტის კაცაკარისმა ყველაზე მეტხანს ბექა ბურჯანაძე ათამაშა – 45 წუთიან მატჩში ქართველი მხოლოდ 8 წუთი დაასვენა. ამის მიზეზი გასაგებია: ბექა გუნდისთვის საკმარისზე მეტად სასარგებლო კალათბურთელია. მან მატჩი 12 ქულითა და 8 მოხსნით დაასრულა, 3-დან 2 სამქულიანი და 6-დან 3 ორქულიანი ჩააგდო.

ბექას წინააღმდეგ ითამაშა საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა თად მაკფადენმა. მისი მონაგარი ასეთი იყო: 30 წუთი, 12 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი.

ბ ჯგუფში პირველი ეტაპის დასრულებამდე 2 ტურით ადრე 4-ხელისუფლებიანობაა: რეალს, ვალენსიას, ბურგოსსა და გრან კანარიას 2-2 მოგება აქვთ თითო წაგების წილ. ბევრი რამ მეოთხე ტურში გადაწყდება. ბურჯანაძის გრან კანარია აუტსაიდერ სარაგოსას შეხვდება, ხოლო მაკფადენის ბურგოსი ერთ-ერთ ფავორიტს, მასპინძელ ვალენსიას.

გია ცეცაძე: „ყველას დამარცხება გვსურს“

გია ცეცაძე უკრაინის საფეხბურთო კლუბ ლვოვის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 45 წლის სპეციალისტი აქამდე მხოლოდ საქართველოში მუშაობდა. ცეცაძე წვრთნიდა გორის დილას, თბილისის ლოკომოტივს, სამტრედიასა და საბურთალოს.

სამტრედიაში მუშაობისას გახდა საქართველოს ჩემპიონი (2016) და სუპერთასის მფლობელი. 6 წლის წინ ცეცაძის გაწვრთნილი 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის 8 საუკეთესო გუნდს შორის გავიდა. მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში. საქართველოს ნაკრებში კახა ცხადაძის დროს იყო მთავარი მწვრთნელის თანაშემწე.

ლვოვი უკრაინის პრემიერლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა და მხოლოდ თანაქალაქურ კარპატის უსწრებს. უახლოეს ტურში ცეცაძის გუნდს ლვოვის დერბიში უწევს თამაში.

უკრაინული კლუბის პრესსამსახურმა გია ცეცაძესთან ინტერვიუ გამოაქვეყნა.

– უკვე გაიცანით გუნდი? როგორია შთაბეჭდილებები?

– შთაბეჭდილებები ნორმალურია. ისეთია, როგორსაც ველოდი.

– ლვოვს ბოლო მატჩებში არცთუ კარგი შედეგები ჰქონდა. როგორია კლუბში თქვენი მიზნები?

– სეზონის დარჩენილ მატჩებში შევეცდებით, რთულ მდგომარეობას თავი დავაღწიოთ. ახლა მთავარია, რომ იმ 5 შეხვედრიდან, რომლებიც დაგვრჩა, რაც შეიძლება მეტი მოვიგოთ. თუკი ხუთივეს მოვიგებთ, სუპერშედეგი იქნება. თუმცა, ყველაფერს რეალურად უნდა შევხედოთ და მაქსიმალურად მეტში უნდა გავიმარჯვოთ, რათა ღირსეულად დავასრულოთ ეს ჩემპიონატი, შემდგომში კი უკვე მომდევნოსთვის მოვემზადოთ.

– როგორ ფეხბურთს თამაშობს თქვენი გუნდი?

– შევეცდებით, შემტევი ფეხბურთი ვითამაშოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დაცვის ხაზი გახსნილი გვექნება. თანამედროვე ფეხბურთში ბალანსი მთავარია. იქნება სტრატეგიული მომენტები, რომლებზეც ყურადღებას გავამახვილებთ. ჩვენი გუნდი სანახაობრივ ფეხბურთს ითამაშებს, სანახაობრივ ფეხბურთთან ერთად შედეგიც მოდის.

– გუნდში ბევრი ბრაზილიელია. გიმუშავიათ გუნდში, სადაც ბრაზილიელებიც იყვნენ. რით განსხვავდება ასეთი სამუშაო?

– საქართველოში მიმუშავია ლეგიონერებთან, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. საფეხბურთო ენა ყველას ესმის. მთავარია, რომ ერთად დავდგეთ და ის საქმე მოედანზე შევასრულოთ, რომლის შესახებაც ფეხბურთელებთან მოვილაპარაკებთ.

– პირველივე მატჩში კარპატისთან დერბი გიწევთ. როგორია მოლოდინი?

– სწორად გამიგეთ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვისთან ვითამაშებთ. უკრაინაში პირველად ვარ ადგილობრივი გუნდის მწვრთნელის რანგში, მაგრამ ფეხბურთის მიმართ განსხვავებული მიდგომები მაქვს. რა თქმა უნდა, ლვოვის გულშემატკივრებისთვის ეს დერბია და მას სხვა ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს, მაგრამ ჩემი გუნდი ყველა მატჩში გამარჯვებისთვის უნდა გადიოდეს. მნიშვნელობა არ აქვს, მეტოქე ვინ იქნება. ყველას პატივს ვცემთ, მაგრამ ყველას დამარცხება გვსურს.

ჯოკოვიჩის კლასტერი

მსოფლიო ჩოგბურთს ჯოკოვიჩის კლასტერი შეესია. ბევრი იძახა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, კორონავირუსის ტესტს არ გავიკეთებო, მაგრამ მის ირგვლივ იმდენი ჩოგბურთელი დაინფიცირდა, იძულებული გახდა და ტესტის პასუხიც დადებითია.

ანალიზები კორონავირუსზე ჯოკოვიჩის მეუღლემ და ბავშვებმაც ჩააბარეს – ინფიცირებული მხოლოდ ცოლია.

შეგახსენებთ, ჯოკოვიჩის მიერ ორგანიზებულ ადრია ტურზე კორონავირუსი დაუდგინდათ გრიგორი დიმიტროვს, ბორნა ჩორიჩსა და ვიქტორ ტროიცკის.

ნოვაკ ჯოკოვიჩი:

– ჩვენ ტურნირის ორგანიზება მაშინ გადავწყვიტეთ, როდესაც ვირუსი გაქრობისკენ მიდიოდა. დარწმუნებული ვიყავით, რომ არის საშუალება, რათა ტურნირი ჩაგვეტარებინა. სამწუხაროდ, ვირუსი არ გამქრალა. ეს რეალობაა, რომელთან შეგუება მოგვიწევს. ვწუხვარ ყველა ცალკეულ დაინფიცირებულ შემთხვევაზე. იმედი მაქვს, ეს ფაქტი არავის ჯანმრთელობას საფრთხეს არ შეუქმნის. 14 დღით თვითიზოლაციაში მივდივარ, ხოლო 5 დღის შემდეგ კიდევ გავიკეთებ ტესტირებას.

სერბი მეჩოგნის მიერ მოწყობილ ადრია ტურის შემდეგ კორონავირუსი ბოლოს ტროიცკისაც დაუდასტურდა. ტროიცკიმ ბელგრადში გამართულ ადრია ტურშიც მიიღო მონაწილეობა და შემდეგ „აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატზეც“ ითამაშა. ორივე ტურნირზე ტროიცკი ჯოკოვიჩს, ალექსანდრ ზვერევს, ფილიპ კრაინოვიჩს, ბორის ბუტულიას, რიკარდას ბერანკისსა და ლუკა პავლოვიჩს დაუპირისპირდა.

ცხადია, ყველა იმ ჩოგბურთელისა და ადამიანის ტესტირება იგეგმება, რომლებთანაც 34 წლის ჩოგბურთელს ამ ტურნირებზე შეხება ჰქონდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. ლუდის დასაყენებელი ხის ჭურჭელი ხევსურეთში; 3. ჩიტების საჭერი მახე; 4. მელვინეობის ცენტრი სამხრეთ ესპანეთში; 5. სახელმწიფო ევროპაში; 6. მდგომარეობა კრივში; 11. ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის პატარა მოთხრობა; 13. შენობის ფასადის მოპირკეთება უხეშად დამუშავებული ზედაპირის მქონე ქვებით; 14. ბრიტანელი პოლიციელი; 15. მდგომარეობა ჭადრაკში; 17. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 18. აქლემის ნაშიერი; 19. მუსლიმთა სამლოცველო.

თარაზულად: 7. ოპერა „აბელოსამ და ეთერის“ პერსონაჟი; 8. სახელმწიფო კავკასიაში; 9. იაპონური ავტომობილი; 10. სპილენძის შემცველი მწვანე, ხასხასა მინერალი; 12. სახელმწიფო ევროპაში; 14. ბუნებაში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მინერალი; 16. ბათუმის ბოტანიკური ბაღის დამაარსებელი; 18. ძაღლების სპეციალისტი; 20. ქიმიური ელემენტი, აირი; 21. წელიწადის მეთორმეტედი; 22. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 23. დედალი ჯიხვი; 24. ფინანსური ოპერაციების სარეგისტრაციო ყოველდღიური საბუღალტრო დავთარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. არიფანა; 2. კატალოგი; 3. შირაქი; 4. მუყაო; 5. პარფორსი; 8. გენოციდი; 12. დაბა; 13. ეკოლოგია; 14. ევროპა; 16. ბაგიათი; 18. ზურნა; 20. მუზა.

თარაზულად: 1. პრელუდია; 7. უტინოურა; 8. გელათი; 9. სარკე; 10. კომბაინი; 11. უორდროპი; 15. აკრედიტივი; 17. სავანა; 19. პრიმატორი; 21. აგუძერა; 22. სატურაცია; 23. შანსონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰორაციო; 2. ფრუმი; 3. ტოპონიმი; 4. ბინომი; 5. გონდოლა; 6. სარდელი; 11. დირსი; 13. „სიმენსი“; 14. ფილოქსერა; 15. კონტრაქტი; 17. ლევილი; 18. ბურიმე; 19. ჩოხა.

თარაზულად: 7. სოკერი; 8. პოლიქრომია; 9. „ხანუმა“; 10. შოკოლადი; 12. კონსილიუმი; 14. ფრანკი; 16. კლემენსი; 18. ბალატონი; 20. ჭრაქი; 21. ურო; 22. დიასტოლა; 23. ლოქო; 24. ბაბანეური.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0442

ევრო — 3.4153

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.7742

100 რუსული რუბლი — 4.3844

ამინდის პროგნოზი 24 ივნისისათვის

სერხიო რამოსმა მცირე ტრავმა მიიღო

მადრიდის რეალის ცენტრალურმა მცველმა სერხიო რამოსმა რეალ სოსიედადთან ტრავმა მიიღო, თუმცა, როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ეს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. სავარაუდოდ, სერხიო მხოლოდ ერთ შეხვედრას გამოტოვებს, რომელსაც რეალი მალიორკასთან გამართავს. რამოსი ესპანიოლთან დაბრუნდება.

რეალი ამჟამად ლიდერობს სატურნირო ცხრილს, თუმცა ბარსელონას თანაბარი ქულები აქვს, ამიტომ რეალს შეცდომის უფლება არა აქვს.

კარლო ანჩელოტი: „ლივერპულთან კარგად ვითამაშეთ“

ევერტონის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ისაუბრა ლივერპულთან შეხვედრაზე, რომელიც ფრედ 0:0 დასრულდა. ანჩელოტის თქმით, მისმა გუნდმა დისციპლინა აჩვენა, თუმცა შეტევაში მათ კიდევ ბევრი სამუშაო აქვთ:

– ლივერპულთან მატჩში გამოჩნდა, რომ ჩვენ შეგვიძლია ორგანიზებულად თამაში და მეტოქეს ბევრი შანსი არ ჰქონია. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ შეტევაზე, რადგან მომავალ მატჩებში გოლების გატანა აუცილებლად დაგვჭირდება.

ბარსელონა და იუვენტუსი არტურსა და პიანიჩს გაცვლიან

ესპანურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ იუვენტუსი და ბარსელონა თითქმის შეთანხმდნენ და არტურსა და პიანიჩს ერთმანეთს გაუცვლიან. სავარაუდოდ, ეს უახლოეს დღეებში უნდა მოხდეს.

ბარსელონას პიანიჩის ყიდვა დიდი ხანია სურს და, როგორც ჩანს, კატალონიელები მიზანს მიაღწევენ. არტურს ბარსელონის დატოვება არ სურდა, მაგრამ, სავარაუდოდ, მას ამის გაკეთება მაინც მოუწევს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 ივნისისათვის

ვერძი – იყავით თამამი გადაწყვეტილების მიღებისას. მიზნის მიღწევას მხოლოდ არასტანდარტული გზებით შეძლებთ. **კურო** – რადიკალური მოქმედებებისაგან თავი შეიკავეთ. პროფესიონალურ სფეროში სირთულეებია მოსალოდნელი. **ტყუპები** – ახალი საქმის დასაწყებად კეთილისმყოფელი პერიოდია. მატერიალური მდგომარეობა ოდნავ გიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – შესაძლოა, ნებისმიერი თქვენი ქმედება თქვენ წინააღმდეგ შემობრუნდეს. სავარაუდოდ, კოლეგებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **ლომი** – სიძნელეების გადალახვისას გაბედულება და გონიერება გმართებთ. წარმატებული დღეა. **ქალწული** – მოსალოდნელია საქმიანობის სფეროს შეცვლა. ენდეთ ახლობლების რჩევებს. **სასწორი** – ემოციურად დაძაბული და დაბნეული ხართ. ერიდეთ სხვების გაკრიტიკებას. **ღრიანკალი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. შორს გამგზავრებას ნუ დაგეგმავთ. ნუ ეცდებით, თავი ყველას მოაწონოთ. **მშვილდოსანი** – მშვიდად იყავით და ემოციები აკონტროლეთ. თუ წინდახედულად მოიქცევით, წარმატებას მიაღწევთ. **თხის რქა** – ახლობლებისა და მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. მიიღეთ მხოლოდ ჯანსაღი საკვები. **მერწყული** – გეგმების რეალიზებას ახერხებთ. ხელს ვერაფერი შეგიშლით. დიდი ხნის უნახავი მეგობრები მოინახულეთ. **თევზები** – იაქტიურეთ. იღბალი თქვენ მხარეს არის. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა.

გისუსტებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

მამაკაცი მღვდელს ეუბნება:
– მამაო, ცოლს ვუღალატე...
– რამდენჯერ, შვილო ჩემო?
– მამაო, მე აქ სატრაბახოდ კი არ მოვსულვარ...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:
– თვრამეტი წლის ასაკი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ დგება...
– ოთხმოცდაერთი კიდევ უფრო იშვიათად...

•••

მაღალჩინოსანი, რომელიც გადასასვლელზე ორ ფეხითმოსიარულეს დაეჯახა, მოსამართლეს ეკითხება:
– როგორი იქნება ამ შემთხვევის შედეგები?
– იმას, რომელმაც თავით თქვენი მანქანის საქარე მინა გაიტანა, ხუთ წელს მივუსჯით, თანამდებობის პირზე თავდასხმისთვის, აი იმას კი, ბუჩქებში რომ შევარდა, კიდევ ერთ წელს დავუმატებთ შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მცდელობისთვის.

•••

ერთი ქალი მეორეს უყვება:
– გუშინ სამსახურიდან სახლში ჩემს ქმარს ვურეკავ და ვეკითხები: „რას აკეთებ?“ მან კი მიპასუხა: „შენ სამუშაოს ასრულებ!“
– მერე?
– გამიხარდა, ვიფიქრე, სადილს ამზადებს, სახლს ალაგებს...
– და მერე?
– მივედი სახლში და რას ვხედავ, ზის და კანფეტებს ჭამს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

როი აბუსელიძე: „მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა იმ პოეტსა და მწერალს, რომლებიც პოლიტიკაში მიდიან!“

აცხადებს პოეტი როი აბუსელიძე და თავისი კოლეგებისადმი მხარდაჭერის მიზეზსაც განმარტავს:

– ძალიან დიდ მხარდაჭერას ვუცხადებ ყველა იმ პოეტსა და მწერალს, რომლებიც პოლიტიკაში მიდიან!

დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ ძვირფასი ადამიანების ფასი არ იცის და სწორედ თქვენი სირცხვილია, წიგნის ხალხს რომ ლუკმაპურის საშოვნელად ქუჩაში გამოიყვანთ, მიტინგზე გამოიყვანთ, თქვენ წინააღმდეგ გამოიყვანთ.

„მწერალს პოლიტიკაში რა უნდა“ – ამ შეხედულების ადამიანებისთვის მიჩუქნია უწიგნური მთავრობა. სულ ისეთი ხელისუფლება გყოლოდეთ, როგორსაც იმსახურებთ.

ნოდიკო ტატიშვილმა ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა ნოდიკო ტატიშვილმა პანდემიის პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენა და ახალ სიმღერაზე ვიდეორგოლი გადაიღო.

სიმღერაზე დაგეგმილი კლიპისთვის მომღერალი დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა ჟღალთმიან გოგონას. ნოდიკოს მთელი სოციალური ქსელი აქტიურად ეხმარებოდა. საბოლოოდ მომღერალმა არჩევანი მოდელ ელენე ეპიტაშვილზე შეაჩერა.

კლიპი რეჟისორმა ნესტან სინჯიკაშვილმა გადაიღო, რომელიც ნოდიკოს ბოლო პერიოდის ვიდეორგოლების უცვლელი შემოქმედია. ნაწყვეტი კლიპიდან ნოდიკომ ინტერნეტში გაავრცელა და დაანონსა, რომ მისი ახალი ნამუშევრის პრემიერა მაია ასათიანის „პროფილში“ გაიმართება.

გიორგი უშიკიშვილი ახალ გადაცემას იწყებს

მომღერალი გიორგი უშიკიშვილი ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში მალე ახალი გადაცემით გამოჩნდება.

ინფორმაცია მომღერალმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და შემოქმედებით გუნდთან ერთად გადაღებული ფოტოც გამოაქვეყნა:

– ვიწყებ ძალიან საინტერესო ტელეპროექტს ძალიან მაგარ გუნდთან ერთად. შევხვდებით მალე მთავარ არხზე!

ქვემო ბოლნისში უმნიშვნელოვანესი არტეფაქტები აღმოაჩინეს

სოფელ ქვემო ბოლნისში აზერბაიჯანელმა თანამემამულეებმა უმნიშვნელოვანესი არტეფაქტები აღმოაჩინეს.

ინფორმაცია ბოლნისის მკვიდრმა ლევან ქუჩიშვილმა გაავრცელა:

– ჩემი ქართველი აზერბაიჯანელი მეგობრები ქვემო ბოლნისიდან, შემთხვევით ასეთ მნიშვნელოვან არტეფაქტებს წააწყდნენ, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწის ზევით ჩანს. დამირეკა ერთერთმა, რომელსაც ელნური ჰქვია და მახარა, შენთვის მნიშვნელოვანი იქნებაო. იქნებ დაინტერესდეს შესაბამისი სამსახურები, თუ არ იციან ამის შესახებ?!

მადლობა ელნურ ეჰმედლისა და დანარჩენ მეგობრებს ასეთი კარგი მოქალაქეობრივი, პატრიოტული ქმედებისთვის.

ადგილზე ჩავიდა ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი და არსებული მდგომარეობა გადაიღო:

– საფლავის ქვა, იშვიათად ლამაზად ამოკვეთილი ქალის ფიგურით, პირდაპირ გზის პირას გდია. დაინახავ და გული შეგეკუმშება. გზიდან ათიოდე ნაბიჯს გადადგამ, შესაძლოა, ოდნავ მეტს და აღმოჩნდები დაბალი ხეებით დაბურულ გარემოში, სადაც დაახლოებით 40-50 მეტრის რადიუსზე იშვიათი საფლავის ქვებია მიმოფანტული, ნახავთ ქვაჯვარის ბაზისებს. იქვეა დიდი ნათალი ქვები და, სავარაუდოდ, ეკლესიის ნანგრევი. იქვე ახლოს იყო და ახლა საიმედო ადგილასაა ადრექრისტიანული, სავარაუდოდ, V-VI საუკუნის სტელები, ბოლნური ჯვრებით. მსგავსი სტელა გადაღებული მაქვს 2014 წელს სათხის მონასტრის ჩრდილოეთ კედლის ძირში.

ადგილი, რომელიც აღვწერე, ბოლნისიდან რამდენიმე კილომეტრშია. თბილისიდან ნახევარი გზა გავლილი გვქონდა, ამინდი რომ აირია. ვიმედოვნებდით, რომ წვიმის დაწყებამდე გადაღებას მოვასწრებდით, მაგრამ ვერ შევძელით, იქაურობა ძალიან სწრაფად, თავსხმა წვიმაში გადავიღე.

ჩვენი მეგზური იყო ბოლნისელი ქუჩიშვილი ლევანი და სოფელ ქვემო ბოლნისში მცხოვრები ელნურ ეჰმედლი, რომელმაც ზემოთ აღწერილ ადგილას სამარხები ნახა და ლევან ქუჩიშვილს შეატყობინა.

ოქროსმაძიებლები იქ უკვე ყოფილან, ადგილ-ადგილ დიდი და მომცრო ორმოები ამოუღიათ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ამ ადგილის ირგვლივ ინფორმაცია მივაწოდე, ფოტომასალაც გავუგზავნე და ლევან ქუჩიშვილის კოორდინატებიც მივწერე. გუშინდლამდე იქ არავინ ჩასულა. ხვალ-ზეგ ისევ შევეხმიანები, ამბავს მოვიკითხავ.

ბოლნისის რაიონში გადაღებულ ჩემს რეპორტაჟს ვაჩვენებ წესიერ ხელოვნებათმცოდნესა და ასევე კულტურული მემკვიდრეობის წესიერ სპეციალისტს. ასე შევეცდები დავაზუსტო, რასთან გვაქვს საქმე, თან ძალიან მაინტერესებს, რამდენად სწორად აღვწერე ნანახი, ანუ საკუთარი თავის გამოცდაც მაინტერესებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. უმაღლესი მწვერვალი კავკასიონზე; 2. პირველი კოსმონავტი; 3. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე პირი; 4. მინის ფართობის საზომი ერთეული ძველად საქართველოში; 5. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 8. აეროპორტი მადრიდში; 12. შაქრის ლერწმის არაყი; 13. კამათი მეცნიერული, ლიტერატურული ან პოლიტიკური საკითხების განხილვისას; 14. პურეული მცენარე; 16. ხეობა საქართველოში; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 20. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი.

თარაზულად: 6. უბანი ქუთაისში; 7. სამეცნიერო ხარისხის მინიჭება; 8. ფრანგი ბალეტმეისტერი; 9. უდაბნო აფრიკაში; 10. სამონასტრო კომპლექსი თეთრიწყაროს რაიონში; 11. თაღლითი, ყალთაბანდი; 15. სტაჟიორი, პრაქტიკანტი ადვოკატი ბრიტანეთში; 17. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 19. სამხრეთ ამერიკის სახელმწიფო – გაიანას დედაქალაქი; 21. მუსლიმანური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 22. ძველებური სამგზავრო ჩანთა; 23. სამყარო, როგორც მთლიანობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა